პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 46-ე წელი. № 165 (13250) | ხუთშაბათი, 15 ივლისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.



მარნეულის რაიონის მშრომელები წელს პურეულის უხვ მოსავალს იღებენ. სურათზე: ხორბლის მოსავლის აღება ყაჩაღნის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებზე. მარნეულელ მემინდვრეთა შრომა-საქმიანობაზე რეპორტაჟი იხილეთ მეორე გვერდზე. ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

# სახელმწიფო დისციპლინის შესახებ

ვ. მჟავანაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

[illegible] ხუთწლედი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისაკენ მიმავალ გზაზე წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი გახდება. 1966-1970 წლებში რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ტემპები მნიშვნელოვნად ამაღლდება. მაგალითად, საერთო პროდუქციის საშუალო წლიური ზრდა 11,5 პროცენტი იქნება, 46 პროცენტით გაიზრდება შავი ლითონების წარმოება, 10-ჯერ — ფერადი ლითონების წარმოება, ორჯერ — მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის გამოშვება.

ყოველივე ეს საჭიროს გახდის მეურნეობის ხელმძღვანელობის დონის შემდგომ ამაღლებას, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას. საჭიროა, რომ ყველა უბანზე ადამიანები სახელმწიფოებრივად აზროვნებდნენ და მოქმედებდნენ, საერთო-საკავშირო ინტერესებიდან გამოდიოდნენ და არ იკეტებოდნენ კუთხურობის ჩარჩოებში. საჭიროა მაქსიმალურად ვავითარებდეთ თვითეულის პასუხისმგებლობის გრძნობას მისთვის მინდობილი საქმისათვის, ვუნერგავდეთ ადამიანებს შეურიგებლობას ეკონომიკის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის ლენინური ნორმებისა და პრინციპების დარღვევებისადმი.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში პასუხსაგები სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაჭრისას დაშვებული იყო ხოლმე აჩქარება, რეალურ სინამდვილეს მოწყვეტილი დასკვნები. პარადული ხმაური, ტრაბახი, ლაყბობა უპასუხისმგებლობას წარმოშობდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის, ნოემბრისა და მარტის პლენუმებმა ბოლო მოუღეს სუბიექტივიზმს. საქმიანობა და კონკრეტულობა კომუნისტური მშენებლობის ძირეული ამოცანების განხორციელებაში — აი პარტიის მთავარი მოთხოვნები.

ჩვენი პარტია დიდ მუშაობას ეწევა საზოგადოების თვითეული წევრის შეგნებული დისციპლინის აღზრდისათვის. შრომის სწორი ორგანიზაცია, შეგნებული სახელმწიფო დისციპლინა, ბოლშევიკური მომთხოვნელობა — აი პირობები, რომლებიც ხელს უწყობს მაღალი მაჩვენებლების მიღწევას ჩვენი ეკონომიკის ყველა დარგში.

ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობა. აქ თავმჯდომარედ მუშაობს ნიკო მამაიაშვილი. უნარიანმა ორგანიზატორმა და აღმზრდელმა ნ. მამაიაშვილმა შეძლო პირველადი პარტორგანიზაციის აქტიური დახმარებით შეექმნა კოლმეურნეობაში შეკავშირებული, დისციპლინირებული კოლექტივი. აქ თვითეული ადამიანი პასუხს აგებს სამუშაოს ზუსტად განსაზღვრული უბნისათვის. მაღალი ორგანიზებულობა და დისციპლინა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ადამიანთა დამოკიდებულებაზე შრომისადმი, გადამწყვეტ როლს ასრულებს კოლმეურნეობის მიერ მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში.

ისეთი კოლექტივები, სადაც დისციპლინა და საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება ჯეროვან სიმაღლეზეა აყვანილი, ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებშიც დისციპლინის მნიშვნელობას ჯეროვნად ვერ აფასებენ და უნდა ითქვას, რომ ყველა ჩამორჩენილ საწარმოში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, როგორც წესი, დისციპლინა სუსტია. ასეთი კოლექტივების ხელმძღვანელები კი ცდილობენ ეგრეთწოდებული „ობიექტური“ მიზეზებით გაამართლონ ჩამორჩენა. ამავე დროს კი ცნობილია, რომ ეს „მიზეზები“ უფრო ხშირად იმათი თანამგზავრია, ვინც ადამიანებთან არ მუშაობს, არა ზრუნავს მათი შეგნების ამაღლებისათვის, არ რაზმავს მათ შემოქმედებითი შთაგონებული შრომისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების შემდეგ რესპუბლიკაში გაძლიერდა ბრძოლა სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის. პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მუშაობა უფრო კონკრეტული, საქმიანი გახდა. იკლო სასხდომო ფუსფუსმა, დეკლარაციულობამ. ხელმძღვანელი მუშაკები უფრო ხშირად ეთათბირებიან კოლექტივებს. გაძლიერდა კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. ეკონომიური მუშაობის საკითხები ახლა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ყურადღების ცენტრშია.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების დახმარებით ჩვენ თავიდან ვიცილებთ ბევრ ხარვეზს სამეურნეო საქმიანობაში, რომლებსაც ცალკეულ მუშაკთა უდისციპლინობა წარმოშობს.

მთავარი ის არის, რომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ჩვენმა პარტიულმა კომიტეტებმა ფართო მუშაობა გააჩაღონ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის. სწორედ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ყოველმხრივ უნდა იზრდებოდნენ და იწრთობოდნენ ჩვენი მუშაკები. იმაზე, თუ როგორ იქნება დაყენებული ეს საქმე, ბევრი რამეა დამოკიდებული. უკეთ უნდა ვზრდიდეთ ადამიანებს, მეტად ვენდობოდეთ მათ, მაშინ მათ გაუძლიერდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა, ისწავლიან გულმოდგინედ, გონივრულად მოეკიდონ თავიანთ მოვალეობას, ხოლო დისციპლინის დაცვა ბუნებრივი ნორმა გახდება.

უკანასკნელ ხანს ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ სახელმწიფო აპარატი ოპერატიულად მუშაობდეს, რომ ამ აპარატში საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი არ იყოს. დაწესებულებებსა და საწარმოებში, პარტიულ კრებებზე რეგულარულად განიხილავენ აპარატის მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, კანცელარიულობასთან, მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასთან ბრძოლის საკითხებს. მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რომ გავაძლიეროთ აპარატის თვითეული თანამშრომლის პასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა ზუსტად შესრულებისათვის.

ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ხელმძღვანელები, რომლებსაც არ ესმით თავიანთი პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხის წინაშე. ასეთი „ხელმძღვანელები“ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის კი არ ზრუნავენ, არამედ მხოლოდ თავიანთი პირადი კარიერისათვის. მაჩვენებლებით გატაცებულნი, ისინი თავიანთ თავს ნებას აძლევენ პირთამდე აავსონ საწყობები, მოძველებული პროდუქციით, რომელზეც მოთხოვნილება არ არის. სახელმწიფოს ძვირად უჯდება ასეთი მიდგომა საქმისადმი! მოძველებული თუ უხარისხო პროდუქციის გამოშვება დიდი ბოროტებაა, რომლის წინააღმდეგ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები გადამწყვეტ ბრძოლას ეწევიან. დღითიდღე სულ უფრო ფართოდ ჩაღდება შეჯიბრება მსოფლიო სტანდარტების მიღწევისათვის.

გეგმა სოციალისტური საწარმოს კანონია. მაგრამ სახელმწიფოსათვის სულ ერთი როდია, რა მეთოდებითა და საშუალებებით სრულდება იგი. არ შეიძლება წავახალისოთ ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც მიეჩვივნენ „მოაჭახრაკონ“ გეგმის შესრულება სახელმწიფო სახსრების გაუმართლებელი ხარჯვის გზით. ეს ხელმძღვანელები არღვევენ საფინანსო და, მაშასადამე, აგრეთვე სახელმწიფო დისციპლინას, ხოლო საფრად იყენებენ პატაკს გეგმის შესრულების შესახებ. ამავე დროს ყველა ჩვენი პარტიული კომიტეტი, ადგილობრივი საბჭო როდი ერკვევა: ეკონომიურად მიზანშეწონილად მუშაობს საწარმო თუ ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას. და აი გამოდის, რომ ჩვენ ხშირად ვაქებთ ხელმძღვანელს გეგმის სისტემატურად შესრულებისათვის, ხოლო არ ვერკვევით იმაში, თუ რა გზით აღწევს იგი ამას.

ჩვენს სახელმწიფოში ბევრი საწარმოს მუშაობა მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული. ამიტომ მოდუნებულობა ერთი ქარხნის თუ ფაბრიკის საქმიანობაში უარყოფით გავლენას ახდენს ბევრი სხვა საწარმოს მუშაობაზე. თვითნებობა, უდისციპლინობა შეუწყნარებელია გეგმიან მეურნეობაში. სახელმწიფო დისციპლინა სავალდებულოა ყველასთვის — როგორც ცენტრალური, ისე რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის. საჭირო ხდება ამის გახსენება იმიტომ, რომ ჩვენ გვაფიქრებს ფაქტები სახელმწიფო დისციპლინის სერიოზული დარღვევისა ზოგიერთი ცენტრალური დაწესებულებებისა და უწყების მხრივ.

მიმდინარე წელს ზოგიერთმა საკავშირო მგეგმავმა ორგანიზაციამ არ უზრუნველყო მოწყობილობის მიწოდება რესპუბლიკის მთელი რიგი ასამუშავებელი მშენებლობებისათვის. დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით, მშენებლობის პროცესში მყოფ საწარმოებს უკვე წელს უნდა მოეცათ პროდუქცია. მაგრამ ნაწილი მოწყობილობისა, ურომლისოდაც არ შეიძლება ახალ სიმძლავრეთა ამუშავება, დაგეგმილია მოცემულ იქნას მხოლოდ 1966 წელს. ასეთი „დაგეგმვა“, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუწყობს სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, რომელიც, კერძოდ, გულისხმობს კოოპერირებულ მიწოდებათა გეგმების განუხრელად შესრულებას.

უთავბოლობა, სახალხო დოვლათისადმი დაუდევარი დამოკიდებულება ზიანს აყენებს ჩვენს სოფლის მეურნეობასაც. მაგალითად, სუბტროპიკული ზონის კოლმეურნეობებს დიდი რაოდენობით შეაქვთ ორგანული სასუქები, რაც დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან. მათ თვალწინ კი უდიდესი რაოდენობით არის ტორფი, რომელიც ჩინებული ორგანული სასუქია. 300 ათას ტონაზე მეტი გამომუშავებული ტორფი ჩვენში ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული. ან მეორე მაგალითი: აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონში რამდენიმე წლის განმავლობაში მზრალად ხვნას არ ეწევიან. ამის გამო მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება.

საბჭოთა წყობილების პირობებში ცალკეული ადამიანის ინტერესები განუყრელად შერწყმული, მტკიცედ შედუღებულია მთელი საზოგადოების, მთელი სახელმწიფოს ინტერესებთან. სწორედ ამიტომ მაღალი მომთხოვნელობა და დისციპლინიანობა საბჭოთა ადამიანის აღზრდის საფუძველი უნდა იყოს. მომთხოვნელობა — ეს უწინარეს ყოვლისა არის მინდობილი სამუშაოს შესრულების მუდმივი შემოწმება, კონტროლი. მას საერთო არა აქვს რა უხეშობასთან, ტუქსვასთან, მუქარასთან. მაგრამ იმას, ვინც პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას არღვევს, არ შეიძლება ლიბერალურად ვეკიდებოდეთ. ვ. ი. ლენინი მტკიცედ მოითხოვდა იმას, რომ ყოველი საქმე, თუნდაც ყველაზე პატარა, ბოლომდე მიგვეყვანა, რომ განუხრელად შეგვემოწმებინა თვითეული გადაწყვეტილებისა და დავალების შესრულება. იგი ილაშქრებდა ყოველგვარი არააკურატულობის, დაუდევრობის წინააღმდეგ, მუდამ მიგვითითებდა, რომ მოდუნება, ლაყბობა და ბაქიობა შეუწყნარებელია ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში.

სახელმწიფო დისციპლინის ზუსტად დაცვა მთელი ჩვენი საქმიანობის კანონია. მტკიცე დისციპლინა ხელს უწყობს შემოქმედებითი ინიციატივის, აქტივობის განვითარებას, უნერგავს ადამიანებს წარმატების რწმენას, ასწავლის მათ პირად ინტერესებზე მაღლა დააყენონ საზოგადოების ინტერესები, გვეხმარება კომუნიზმის ნათელი შენობის მშენებლობაში.

„იზვესტია“, 14 ივლისი.

---

## ჩვენი დიდი სამშობლო

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

პლასტიკური მასების წარმოების განვითარებაში დიდი მიღწევებისა და დაარსების 250 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 13 ივლისის ბრძანებულებით ლენინის ორდენით დააჯილდოვა ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს ოხტის ქიმიური კომბინატი.

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია აგრეთვე კომბინატის 75 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე.

(საქდესი).

### მილოცვა ჰუარი ბუმედიენისადმი

ალჟირი, 14 ივლისი. (საქდესი). ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურად ჰუარი ბუმედიენის დანიშვნასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მილოცვა გაუგზავნა მას და უსურვა დიდი წარმატებანი ამ მაღალ პოსტზე ალჟირელი ხალხის საკეთილდღეოდ, რომელმაც სოციალისტური მშენებლობის გზა აირჩია.

მილოცვაში გამოთქმულია რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური მეგობრული ურთიერთობა კვლავაც ყოველმხრივ განვითარდება.

### აჭარელ მეაბრეშუმეთა წარმატება

აჭარელმა მეაბრეშუმეებმა 11 ივლისისათვის 104 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. დამზადებულია 603 ცენტნერი პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 580 ცენტნერისა.

პარკის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

## შეხვედრები სარატოვში

სარატოვი, 13 ივლისი. (საქდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც დღეს აქ ჩამოვიდა ვოლგოგრადიდან, თითქმის მთელი დღე იყო ბალაკოვოს ქიმიკომბინატთან და სარატოვის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობებთან.

ბალაკოვოს ქიმკომბინატში მან დაათვალიერა ახალ წარმოებათა მშენებლობანი, აგრეთვე გაეცნო მოქმედ კორდის საწარმოთა მუშაობას. სარატოვის ჰიდრო-ელექტროსადგურის მშენებლობაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურმა დაწვრილებით გამოიკითხა, თუ როგორ მიმდინარეობს სადგურის მშენებლობა.

ბალაკოვოდან დაბრუნების შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა დაათვალიერა სარატოვის სამკილომეტრიანი ხიდი ვოლგაზე, რომელიც ამას წინათ აშენდა. მან აღნიშნა ამ ნაგებობის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა და ის დიდი შრომა, რომელიც მშენებლებმა გასწიეს. შემდეგ ა. ნ. კოსიგინი ეწვია ოლქის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოს ენგელსის ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს ქარხანას, სადაც გაეცნო კაპრონის აბრეშუმის ელასტიკის წარმოებას. იყო აგრეთვე საბჭოთა მეურნეობა „ენგელსკის“ მინდვრებში. მშენებლობის პროცესში მყოფ და მოქმედ საწარმოთა დათვალიერების დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ესაუბრა საწარმოთა მუშებს, სპეციალისტებს, ხელმძღვანელებს, გაეცნო მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს.

### ახალი მოსავლის ფქვილი

მინერალური წყლები, 13 ივლისი. (საქდესის კორ.). სტავროპოლის მხარის წისქვილ-კომბინატები უკვე ფქვავენ ახალი მოსავლის მარცვალს. მინერალური წყლების რკინიგზელებმა ხორბლის ფქვილით დატვირთული პირველი მატარებლები გაგზავნეს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

## ფოლადის მაგისტრალები დღეს და ხვალ

მოსკოვი, 13 ივლისი. (საქდესის კორ.). მსოფლიოს რკინიგზების ტვირთზიდვის თითქმის ნახევარი საბჭოთა კავშირის წილად მოდის. წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის საგარეუბნო და შორ მატარებლებს გადაჰყავთ ორი მილიარდ 250 მილიონი მგზავრი. ეს უდრის დედამიწის მოზრდილ მოსახლეობას.

პრეს-კონფერენციაზე, რომელიც დღეს გაიმართა გზათა სამინისტროში, ეს ციფრები მოიყვანა მინისტრის მოადგილემ ბ. გ. მურატოვმა და ამასთანავე ხაზი გაუსვა, რომ ისოდენ დიდი მოცულობის ტვირთზიდვა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ მოგვეხდინა ტრანსპორტის საფუძვლიანი ტექნიკური რეკონსტრუქცია. ძველი ლოკომოტივები შეცვალეს ახალმა მძლავრმა და სწრაფმავალმა ელმავლებმა და თბომავლებმა. ახლა ისინი ასრულებენ ტვირთბრუნვის ოთხ მეხუთედზე მეტს. მნიშვნელოვნად განახლდა სავაგონო პარკი. მაგალითად, ახალ ექვსღერძიან ნახევარვაგონს შეუძლია გადაიტანოს 125 ტონა ტვირთი — იმდენი, რამდენსაც იტევს ექვსი-შვიდი ძველი ორღერძიანი ვაგონი.

ტრანსპორტზე სულ უფრო მეტად იყენებენ ელექტრონიკას. მოსკოვის მაგისტრალზე შენდება გამოთვლითი ცენტრი. მანქანები აარჩევენ მატარებელთა უფრო ხელსაყრელ მარშრუტებს, კონტროლს გაუწევენ ტვირთზიდვას, აწარმოებენ ხელფასის დარიცხვას, შეასრულებენ ბევრ სხვა ოპერაციას. შემდგომში ასეთივე ცენტრები შეიქმნება სხვა გზებზეც. დროთა განმავლობაში ისინი გაერთიანდებიან ტრანსპორტის ტვირთზიდვის ყველა პროცესის მართვის ერთიან სისტემად.

საბჭოთა კავშირში ყველაზე ჩქარი მატარებელია „ავრორა“, რომელიც მალე გემგზავრება რეისში, იგი ხუთ საათზე ნაკლებ დროში ჩამოიყვანს მგზავრებს ლენინგრადიდან მოსკოვში. ცალკეულ უბნებზე იგი განავითარებს 160 კილომეტრ სიჩქარეს საათში. მეცნიერები და კონსტრუქტორები ახლა მუშაობენ უფრო ჩქარი ლოკომოტივების პროექტებზე, რომლებიც 200 და მეტ კილომეტრ სიჩქარეს განავითარებენ საათში. შორს არ არის ის დრო, როცა მატარებლით მგზავრობას მოსკოვიდან ლენინგრადამდე სამიოდე საათი მოუნდება.

### დააჯილდოვეს საქართველოს თევზის მრეწველობის მოწინავენი

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა პროფსაბჭოს საპატიო სიგელებით დააჯილდოვა რესპუბლიკის თევზის მრეწველობის მოწინავეთა ჯგუფი.

დაჯილდოებულთა შორის არიან სოხუმის გემთშესაკეთებელ-ტექნიკური სადგურის საამქროს უფროსი ი. ასათიანი, საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტის ჯავის თევზსაშენის მთავარი ბუხჰალტერი ა. აროშიძე, თბილისის მანქანა-მელიორაციის და ტექნიკური სადგურის მთავარი ინჟინერი გ. ახობაძე, გაგრის მეთევზეობის კოოპერაციული მეურნეობის მებადური ა. აიბა, თევზსაჭერი ტრაულერის „თბილისის“ კაპიტანის უფროსი თანაშემწე ნ. მხატვარი, გაგრის თევზის ქარხნის საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსი კ. სოკოლოვი, თბილისის მეთევზეობა-მელიორაციის და აკლიმატიზაციის სადგურის დირექტორი დ. ცინცაძე. (საქდესი).

## ბარაქალა თქვენ, მეჩაიეებო!

### ქობულეთელები უტევენ...

ქობულეთი. 14 ივლისი. (ტელეფონით). კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პლანტაციებში გაჩაღებულია ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა. ივლისში უხვად შემოსული ნედლეული განუწყვეტლივ იკრიფება. უკვე მოკრეფილია 13.400 ტონამდე „მწვანე ოქრო“. გუშინ ქობულეთელებმა მოკრიფეს 241 ტონა.

აღსანიშნავია, რომ შარშანდელთან შედარებით 101 ტონით მეტია მოკრეფილი. წელს ივლისის 13 დღეში მოკრეფა 2.425 ტონა ჩაის ფოთოლი, გასულ წელს კი მოკრეფილი იყო 1.538 ტონა. თუ მარტო 13 ივლისს მოიკრიფა 241 ტონა, შარშან ამავე დღეს მოკრიფეს 144 ტონა.

ქობულეთელები მოკრეფილი ნედლეულის რაოდენობის გადიდებასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევენ ხარისხობრივ მაჩვენებლებს. შარშან ივლისის პირველ ნახევარში მოკრეფილი ნედლეულის 28,9 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო, წელს კი პირველი ხარისხისაა 29,3 პროცენტი. ივლისის ბოლომდე ეს მაჩვენებელი კიდევ უკეთესი იქნება.

ჩაის ფოთლის კრეფაში წინ მიდიან ოჩხამურის, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობები: ხუცუბნის, დაგვის, ბობოყვათის კოლმეურნეობები. დღითიდღე ძლიერდება კრეფის ტემპი. ქობულეთელებმა დღემდე საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 3.108 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო სეზონის ბოლომდე ეს მაჩვენებელი 5.400 კილოგრამს გადააჭარბებს.

### დაწინაურდნენ

ხობი, (ტელეფონით. სპეც. კორ.). გუშინდელი დღის ჩათვლით მოიკრიფა და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 1.865 ტონა „მწვანე ოქრო“. ეს წლიური გეგმის 58 პროცენტს შეადგენს. შარშანდელთან შედარებით წელს 7 ტონით მეტი ჩაის ნედლეულია მოკრეფილი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხარისხს, — განაცხადა საუბარში საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა ალ. წურწუმიამ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ძველი ხიბულის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ჰ. ჩიმბარიანი). აქაურმა მეჩაიეებმა ფოთლის კრეფის წლიური გეგმა უკვე შეასრულეს 75 პროცენტით.

ახალ ხიბულის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე შ. კემულარია) წევრებმა გუშინ მოკრიფეს 10 ტონა ფოთოლი ნაცვლად 8 ტონისა. სეზონის დაწყებიდან წლიური გეგმა შესრულებული აქვთ 63 პროცენტით. ასევე ქების ღირსი არიან საჯიჯაოს ცხაკაიას სახელობის, ხამისკურის ჟდანოვის სახელობის, ხობის რუსთაველის სახელობის, ბიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობები.

სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ქსენია კვალიშვილმა უკვე მოკრიფა 5.500 კილოგრამი ფოთოლი და ამით წლიურ გეგმას ათასი კილოგრამით გადააჭარბა.

### მეჩაიე დეპუტატის კარგი მაგალითი

მახარაძე. (საკ. კორ.). ჩაის უხვი მოსავლის მიღებით სახელი გაითქვა სოფელ მშვიდობაურის კოლმეურნეობის წევრმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ციალა პაიჭაძემ. მოსავლელად მიჩენილ 0,4 ჰექტარზე მოკრიფა 3.700 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.300 კილოგრამისა.

200.000 ტონა

## ნატოს საბჭოს სხდომაზე

### შეერთებულ შტატებს იზოლაციის საფრთხე მოელის

პარიზი, 14 ივლისი. (საქდესი). „შეერთებულ შტატებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავ გაუწიონ დახმარება სამხრეთ ვიეტნამს“, — განაცხადა გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჯორჯ ბოლმა ჩრდილო-ატლანტიკის ბლოკის საბჭოს სხდომაზე. „მიმდინარე წლის შემოდგომაზე, — თქვა ბოლმა, ჩვენი ჯარების რიცხვს 100.000-მდე გავზრდით“.

როგორც „ლუმანიტე“ და სხვა ადგილობრივი გაზეთები წერენ, „შეერთებული შტატები შეაძლოა იზოლირებული აღმოჩნდნენ“, თუ კვლავაც გააფართოებენ საომარ მოქმედებას ვიეტნამში, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ პოლიტიკას ვიეტნამის მიმართ მხოლოდ დასავლეთი გერმანია და ინგლისი უჭერენ მხარს, ვაშინგტონის სხვა პარტნიორები კი თავს იკავებენ და გმობენ კიდევაც ამერიკის ხელმძღვანელთა პოლიტიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.



რასიზმის თესლი, ოკეანის გაღმიდან მოტანილი, ბრიტანეთის ნიადაგზე ხარობს.
(ნახატი გაზეთ „ჩიკაგო სანტაიმსიდან“).

### ალჟირის მთავრობის დეკრეტები

ალჟირი, 14 ივლისი. (საქდესი). ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო მთელი რიგი დეკრეტები. ამას იტყობინება გაზეთი „ელ-მუჯაჰიდი“. დეკრეტები შეეხება იმას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცეს ეროვნული უშიშროებისა და კავშირგაბმულობის ეროვნული დირექციის კორპუსები, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარონ პრეფექტები.

### ახალი კანონპროექტი

ლონდონი, 14 ივლისი. (საქდესი). 102 ხმის უმრავლესობით ინგლისის თემთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯის გაუქმებას. წინააღმდეგ ხმა მისცა 98 დეპუტატმა.

ეს კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს სიკვდილის დასჯის გაუქმებას ხუთი წლის საცდელი ვადით, განსახილველად გადაეცემა ლორდთა პალატას.

### სამხედრო ხუნტა უნდა გადადგეს

ნიუ-იორკი, 14 ივლისი. (საქდესი). ეკვადორში გრძელდება გამოსვლები სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ. გუშინ ქალაქ გუაიაკილში მოხდა უნივერსიტეტის სტუდენტთა შეტაკება პოლიციასთან, რომელმაც სასროლი იარაღი იხმარა. მოკლულია თექვსმეტი წლის ქალიშვილი, რამდენიმე კაცი დაიჭრა.

სტუდენტობა, პროფკავშირული და პოლიტიკური ორგანიზაციები მოითხოვენ გადადგეს სამხედრო ხუნტა, მოეწყოს ეროვნული არჩევნები.

## ბ. კრაისკის განცხადება

ვენა, 14 ივლისი. (საქდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალურ ვიზიტად სამ დღეს ყოფნის შემდეგ ვენაში დაბრუნდა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. კრაისკი.

აეროდრომზე მან პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ეკონომიურ საკითხებს დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მოლაპარაკებებში.

პირველი მსოფლიო ომის წინ და პირველი მსოფლიო ომიდან მეორემდე, — განაცხადა ბ. კრაისკიმ, — ბალკანეთი შფოთის კერა იყო ევროპაში. ახლა ბულგარეთი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მოხდეს მდგომარეობის სტაბილიზაცია ბალკანეთში. უშფოთველობა და მშვიდობა ბალკანეთში ავსტრიისა და მთელი ცენტრალური ევროპის უშფოთველობისა და მშვიდობის წანამძღვარია.

# მსჯელობს თელავის მშრომელთა ყრილობა

საარაკოვანი ცივ-გომბორის მთის კალთებზე შეფენილი პატარა, მაგრამ მუდამ ჭაბუკი ქალაქი თელავი, რომელიც გუშაგად დასდგომია ცის დასალიერამდე გაშლილ ალაზნის ველს, დღითიდღე შენდება და მშვენდება. ახალი საცხოვრებელი და ადმინისტრაციული სახლები, სკოლები, საბავშვო ბაგები და ბაღები, ბიბლიოთეკები და კინოთეატრები, მაღაზიები და რესტორნები, ბაღები და სკვერები...

ახლა ნახეთ, რამდენი რამეა ხარაჩოებით შემორკალული: სამედიცინო ქალაქი, ოთხსართულიანი ტურისტული ბაზა, ოთხი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, უზომო წინდების ფაბრიკა, პედაგოგიური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელი. ყველაფერი ეს წელს ჩადგება თელაველთა სამსახურში.

მაგრამ თელაველებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლიათ. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ნაწილი მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში. თელავს ერთი ხეირიანი საპარიკმახეროც კი არ გააჩნია. აბანო ორია, მაგრამ, როგორც იტყვიან, არცერთი არ უქნია ღმერთს. წყლის სიმრავლემ თავისი გაიტანა. არემონტებენ, აკოწიწებენ, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის, ხალხს მომსახურებას ვერ უწევს.

ქალაქის მცხოვრებთა ნაწილი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში არ მონაწილეობს, ეწევა კერძო რეწვასა და სპეკულაციას. ზოგიერთ მათგანს ჰყავს საკუთარი მუშა პირუტყვი. ჩეხავენ ქალაქის ახლოს მდებარე ტყეებს და შეშას მამასისხლად ჰყიდიან. სამწუხაროდ, მათ მიმართ ზომებს არავინ იღებს.

თელავში ადგილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევებს. მრავალჯერ შენიშნული პირები კვლავ სჩადიან ხულიგნობას, ქურდობას. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმელები აქტიურად არ მოქმედებენ.

ამ და მსგავს სხვა ნაკლოვანებებზე ბევრი ითქვა ქალაქ თელავის მშრომელთა წარმომადგენლების ყრილობაზე, რომელიც მიეძღვნა საკითხს „თელავის მაღალი კულტურისა და სანიმუშო წესრიგის ქალაქად გადაქცევის შესახებ".

ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ქალაქ თელავის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე უ. ხელაშვილი. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ი. გოგებაშვილის სახელობის თე-

## მაღალი კულტურისა და წესრიგისათვის!

ლავის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ნ. ქორთუა, საქალაქო საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ინჟინერი შ. ყარაულაშვილი, თელავის სარაიონთაშორისო პროკურორი ო. მაჭარაძე, ქალაქ თელავის მიასნიკოვის საუბნო კომიტეტის თავმჯდომარე შ. ტერტერაშვილი, პენსიონერი მასწავლებელი გ. მელითაური, სანეპიდსადგურის გამგე, ექიმი ლ. გზირიშვილი, თელავის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ალ. ნადაშვილი და სხვები.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ ქალაქის მოსახლეობამ შარშან და წელს თავისი შრომითი მონაწილეობით თელავის გასამშვენიერებლად ათეულ ათასობით მანეთის სამუშაო შეასრულა. მარტო მიმდინარე წლის გაზაფხულზე ბაღებში, სკვერებში და ქუჩების გაყოლებით შვიდი ათასი ძირი ფოთლოვანი და მარადმწვანე მცენარე დაირგო. ქვა-ღორღისაგან ათასობით კვადრატული მეტრი ფართობი გაიწმინდა. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ქალაქის მთელი რიგი უბნების მცხოვრებლები ნაკლებად ზრუნავენ თავიანთი კარ-მიდამოს დასამშვენებლად. ეზოებს გაკეთებული აქვს ულამაზო ღობეები, მოწყობილი არ არის ყვავილნარები. ადგილი აქვს სანიტარული წესების დარღვევას.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრმა შ. პაატაშვილმა, საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა თ. დავითაშვილმა, მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსმა გ. რობიტაშვილმა, „საქენერგოს" მმართველმა დ. ჩხეიძემ, მშენებლობის მინისტრის მოადგილემ ი. ზოდელავამ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილემ შ. შადურმა, კულტურის მინისტრის მოადგილემ გ. იაქაშვილმა და სხვებმა, ყრილობას რომ ესწრებოდნენ, ილაპარაკეს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც აუცილებელია განხორციელდეს თელავის მაღალი კულტურისა და სანიმუშო წესრიგის ქალაქად გადაქცევისათვის. მათ აღუთქვეს თელავის მოსახლეობას, რომ ამ საქმეში სათანადო დახმარებას გაუწევენ.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა პარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ა. [illegible]

თელავის მაღალი კულტურის და სანიმუშო წესრიგის ქალაქად გადაქცევის ყრილობამ [illegible] ვალდებულებანი იკისრა და მოითხოვა მთელი მოსახლეობისაგან, რომ მტკიცედ იბრძოლონ მისი სასახელოდ შესრულებისათვის. თელაველებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ქალაქ გორის მშრომელები.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ მოეკიდებიან საქმეს ხელს თელაველები.

ეს მეტად პატრიოტული ზრუნვაა საკუთარი ქალაქისათვის, მცხოვრებთა მომსახურებისათვის.

ს. ქოჩლაძე.
„კომუნისტის" საკ. კორ.

# მარნეულელთა ხოდაბუნებში

რეპორტაჟი

ალგეთის, ხრამისა და დებედის ნაპირებზე, ბარაქიან ხოდაბუნებში მარნეულის რაიონის მშრომელებს ელოობა აქვთ. იმგზა „უფხოს", „პოლ ბუდდას" და სხვა ჯიშის პურის ყანები. კომბაინების ბუნკერები წამდაუწუმ ივსება, სატვირთო ავტომანქანებიც თვალისდახამხამებაში გვერდში სწრაფად ამოუდგებიან ხოლმე და უნდა გაჩვენათ რა სასიამოვნო სანახავია, როცა ღვართქაფად მოედინება მზისგან აწითლებული ხორბლის ნაკადი. ხორბლისფერი ადევს მიდამოს, კომბაინერებსაც სახეზე ხორბლისფერი დაჰკრავთ, ყველაფერს ახლადგალეწილი პურის ფერი აქვს. ეს ფერი ნამდვილად ჯანსაღი, მუშა კაცის ფერია.

„გიუნა ბახანის" მინდვრებში ყაჩაღანის საბჭოთა მეურნეობის ცხრა კომბაინი მუშაობს, ერთიმეორის მიყოლებით მიჰყვებიან ბარაქიან მინდვრებს და მკიან პურეულს.

გიუნა ბახანი აზერბაიჯანული სიტყვაა და ნიშნავს — „მზეს უცქერის", ასევე ეძახიან მზესუმზირასაც. მართლაც, ეს მინდორი ხელისგულივით სწორია და ოდნავ აღმოსავლეთისაკენ დაქანებული, ისე, რომ მზის ამოსვლისთანავე უცქერის ქვეყნის მანათობელს — სიცოცხლისა და სიუხვის წყაროს. მართლაც უხვია ეს მინდორი!

სულ თხუთმეტი წლისაა შამისტან გასანოვი. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ დაამთავრა რვა კლასი, მაგრამ სოფელში უკვე გამოცდილი და მუყაითი კომბაინერის სახელი მოიხვეჭა. 130 ჰექტარი მომკა ახალგაზრდა მექანიზატორმა და 390 ტონა შინდის კურკის სიმსხო მარცვალი გალეწა. შრომის ასეთივე შედეგით ამაყობენ კომბაინერები მუსა ვალიევი, ზიად ახვერდიევი, მირიუსუფ სეიდოვი და სხვები.

„გიუნა ბახანის" მინდვრის ბოლოში, გზისპირას ვნახეთ ერთი მაღალი, მზისგან გარუჯული კაცი. ეს მეურნეობის კასუმლოს მესამე განყოფილების მმართველი მუხტარ ყურბანოვია. 150 ჰექტარზე უთესია ამ განყოფილებას ხორბალი. ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერს იღებენ. ზოგიერთ სარწყავ ნაკვეთში კი 40-50 ცენტნერსაც ლეწავენ.

— ამ ხნის კაცი ვარ, კარგა ხანს, ვიდრე მეურნეობას შეუერთდებოდა ჩვენი კოლმეურნეობა, თავმჯდომარედ ვიყავი, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ასეთ მოსავალს არ მოვსწრებივარ, — ამბობს მ. ყურბანოვი.

— აქ იცის კარგმა მოვლა-პატრონობამ, ეს ნამდვილად რწყვისა და ქიმიური სასუქების წყალობაა, — გვეუბნება მეურნეობის მთავარი ინჟინერი იმელიან მუსტაფაევი,— აი იმ ვერტმფრენს ხომ ხედავთ, ის ახლა ჩვენს ვენახებში გოგირდს აფრქვევს, გაზაფხულზე კი სწორედ მაგით მინერალური სასუქი შევიტანეთ ამ მინდვრებში. შედეგს კი საკუთარი თვალით ხედავთ.

— კომბაინები ხომ არ ზიანდება? — ეკითხება მეურნეობის დირექტორი ინჟინერს

— რა დააზიანებს, ჩვენმა ბიჭებმა მკის დაწყებამდე ხომ საგულდაგულოდ შეაკეთეს. თუ გაფუჭდა, აგერ არ არის მოძრავი ავტოსახელოსნო, შემდუღებელი აპარატიც აქვს გამოზმული. ერთი სიტყვით, არაფერი არ გვაფერხებს, ხანდახან წვიმა გვიშლის ხელს.

— მართლაც შეგვაწუხა ამინდმა, სამი-ოთხი დღე რომ გააგრძელოს წვიმამ, რაიონში მკას მთლიანად დავამთავრებდით, — ამბობს პარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი შოთა ნემსაძე.

მინდორი მინდორია. ნათქვამია, მოსავალი ის არის, რაც ბეღელშიაო. ეს მართალია, მაგრამ ხვავი და ბარაქა რომ შეაფასო, კალო უნდა ნახო. ყაჩაღანელებს ორი მექანიზებული კალო აქვთ, სადაც ყველა სამუშაო — გადმოტვირთვა, გასუფთავება, განიავება, ავტომანქანაზე დატვირთვა მთლიანად მექანიზებულია. კალოს ერთ კუთხეში ანიავებენ, მეორეში „ვიმით" საგულდაგულოდ იწმინდება მარცვალი, მესამე მხარეს კი ხორბლის უზარმაზარი მთებია, რომლებსაც ტრანსპორტიორი მისდგომია და უზარმაზარი ხორთუმით პურს მანქანაზე ყრის. გუმბათ ბაირამოვი, კარა თანახოვი, ბაირამ ბინათოღლი, რაგიმ მაშადიევი და სხვები კალოზე ხელმარჯვედ მუშაობენ.

— პურეული 1.067 ჰექტარზე გვითესია, — ამბობს ყაჩაღანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი აივაზ გასანოვი, — პურეულის აღებაზე, დაბინავებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაზე ყოველდღიურად 300 კაცი მუშაობს და მაინც ვერ ავუდივართ მოზღვავებული მარცვლეულის აღებასა და დაბინავებას. 650 ჰექტარი უკვე მომკილი გვაქვს, მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერია. გეგმით სახელმწიფოს 1.100 ტონა პური უნდა მივყიდოთ, 1.000 ტონა უკვე მივყიდეთ, გეგმას ორ დღეში შევასრულებთ, მაგრამ ამას ხომ არ დავჯერდებით, გეგმის ზევით ასეულობით ტონა პურს მივცემთ სამშობლოს. ჩვენი ვარაუდით სულ 1.600 ტონას მივყიდით. სათესლედ კი 500 ტონა პური უკვე გადავარჩიეთ.

— რამდენს მიიღებთ პურიდან შემოსავალს? რენტაბელური თუ იქნება მემინდვრეობა?

— წელს ჩვენთან პირველად იქნება მემინდვრეობა რენტაბელური. უკვე ვიანგარიშეთ, და ტონა პური 50 მანეთი გვიჯდება, სახელმწიფო კი 90 მანეთს გვაძლევს, ხოლო ყოველ ზეგეგმით ტონაში — 135 მანეთს. მარტო მოგების სახით 40.000 მანეთს მივიღებთ პურით, — სიამაყით ამბობს დირექტორი.

ამ დროს კი რაიკომის პირველ მდივანთან ერთად პურის უზარმაზარ ასტონიან ხვავს მივუახლოვდით.

— ეს ხვავი სასწრაფოდ უნდა გადავანიავოთ, თორემ პური ჩახურდება, თითქოს ცეცხლი ანთიაო, ისეა ხორბალი გახურებული, — თქვა მეურნეობის დირექტორმა.

ხვავს სასწრაფოდ მანქანა მიუყენეს და ვიდრე მთლიანად არ მორჩნენ პურის განიავებას, მდივანმა ფეხი არ მოიცვალა. მერე დამშვიდდა და სხვა მეურნეობისაკენ „გაზიკით" წავიდა.

ალგეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მზისგან ერთობ გარუჯული ალი ველიევი წელს მეტად კმაყოფილია. ვერაფერს ვერ დაიმდურება. ბოსტნებიც კარგი აქვს, ბაღებიც, პურის ყანები ხომ საუცხოოა. 2.000 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურები უთესიათ. 700 ჰექტარი უკვე მომკილია. ჰექტარზე 18-20 ცენტნერ მარცვალს იღებენ. 1.700 ტონა პური უნდა მიჰყიდონ სახელმწიფოს. ამას არ ჯერდებიან. გეგმის გადამეტებით 500 ტონის ჩაბარებას ვარაუდობენ. 1.000 ტონა პური უკვე მისცეს სამშობლოს, დანარჩენიც სულ მალე იქნება.

ალგეთის მეურნეობის მინდვრებში კომბაინებს ოსტატურად მართავენ მამედ ოჯახვერდიევი, აივაზ ისმაილოვი, რიზა მეხტიევი და სხვები. დღეში 12-14 ჰექტარზე იღებენ მოსავალს და ჰექტარზე 20-25 ცენტნერ მარცვალს ლეწავენ.

მარხიულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვლ. ჯაში გახარებულია, პურეულის კარგი მოსავალი აქვთ. 800 ტონა მარცვალი უნდა მისცენ სამშობლოს. 880 ტონამდე პური მიიტანეს პურპროდუქტების ბაზაში. პურეულის მკაში არც ყულარის მეურნეობა ჩამორჩება. პურის ჩაბარების გეგმა აქ უკვე შეასრულეს. პურის დამზადების გეგმა შეასრულეს აგრეთვე ალგეთის მეურნეობის მემინდვრეებმა. მათ 640 ტონა საუკეთესო ხარისხის მარცვალი მისცეს ქვეყანას.

პურპროდუქტების მარნეულის ბაზაში დღედაღამ არ წყდება ავტომანქანებისა და ტრანსპორტიორების ხმაური. მოდის და მოდის სამშობლოს ბეღლებში პური!

— დღეში 500-600 ტონა პურს ვიღებთ, — თქვა ბაზის დირექტორმა მამედ კოჯაევმა. — უკვე მიღებული გვაქვს 4 800 ტონაზე მეტი პურეული. გეგმას სულ მალე შევასრულებთ.

— წელს თითქმის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში კარგად მოუარეს ნათესებს და შედეგიც სასიხარულოა, — ამბობს პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, გეგმით 6.705 ტონა მარცვლეული უნდა მივცეთ სამშობლოს, გეგმას სულ მალე შევასრულებთ, ხოლო გადამეტებით სახელმწიფოს 3 000 ტონა პურს მივყიდით.

პურპროდუქტების მარნეულის ბაზაში ერთი წუთითაც არ ფერხდება მოსავლის მიღება. ლაბორანტები ლიუბა ფომიჩევა და პოლინა უხანოვა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ბეღელში მხოლოდ მაღალხარისხოვანი მარცვალი ჩაიყაროს. ხარისხის დაცვის საქმეს ყოველდღიურად უწევენ კონტროლს რაიონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. გვახარია და კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე ე. ახვლედიანი. სამშობლოს მხოლოდ მაღალხარისხოვანი მარცვალი! — აი მათი დევიზი. მინდორი, კალო, ბეღელი — აი მარნეულელთა შრომის დღევანდელი სასაპარეზო.

გემატოთ ხვავი და ბარაქა, მარნეულელებო!

ვ. გოზალიშვილი.

• • •



პურპროდუქტების მარნეულის ბაზაში ყოველდღე ასეულობით ტონა პურს იღებენ.

სურათზე: ლაბორანტი ფ. თუსიუნიკოვა იღებს მარცვალს ანალიზისათვის.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## პარტიული ქრონიკა

# კომუნისტებს მეტს სთხოვენ

ამ დღეებში პარტიის აბაშის რაიკომის ბიურომ მოისმინა ზანათის საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მუშაობის ანგარიში.

აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს მეურნეობაში გაძლიერდა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, ამაღლდა კომუნისტთა ავანგარდული როლი. გაუმჯობესდა მუშაობა უპარტიო აქტივთან.

მაგრამ პარტბიუროს მოღვაწეობაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. ჯერ კიდევ ყველა კომუნისტი აქტიურად როდი მონაწილეობს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში. ზოგიერთ ბრიგადაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. აგიტატორები ც. გუნია, ნ. ეორდანია, ვ. დანელია იშვიათად აწყობენ საუბრებს. სათანადო ყურადღება არ ექცევა კომუნისტებზე პარტიულ დავალებათა განაწილებას, პარტბიურო არადამაკმაყოფილებლად ახორციელებს კონტროლს გამგეობის სამეურნეო საქმიანობაზე, ნაკლებ ყურადღებას აქცევს პოლიტიკურ სწავლებას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას.

ბიურომ დასახა სათანადო ღონისძიებანი მეურნეობის პარტორგანიზაციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ივ თოფურია,
გ. გვაზავა.

# სკოლაც რომ შეშველებოდა...

სასკოლო მშენებლობა

ფოთში, კოლონტაის ქუჩაზე, საშუალო სკოლის მშენებლობაზე № 4 სამშენებლო ტრესტის მმართველთან ო. ბიბილეიშვილთან და მთავარ ინჟინერთან ბ. ზარტაშვილთან ერთად გავეცანით გაზეთ „კომუნისტში" ამ მშენებლობის შესახებ ჩვენი პირველი გამოსვლის შემდგომ თხუთმეტ დღეში გაწეულ მუშაობას, რომლის მასშტაბი წინანდელთან შედარებით საგრძნობლად მეტია.

ამჯერად უკვე სიამოვნებას გვგვრის შენობის მთლიანი სახის კონტურები. გარეთა კედლების თითქმის ნახევარი შელესილია, ხოლო შიდა ჭერისა და კედლების შელესვა 90 პროცენტამდეა მიყვანილი. მხოლოდ ერთი დერეფანი და ორი ოთახია შესალესი.

შენობის შიდა სართულთაშორისო რკინაბეტონის კიბის საფეხურების დადგმა-დაყენება უკვე დამთავრებულია, აგრეთვე ჩასმულია ფანჯრებისა და კარების ჩარჩოები, მაგრამ მათი პირველადი დაზეთვა რატომღაც არა აქვთ დაწყებული. ამის გადადება კი არაფრით არ არის გამართლებული.

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ სამუშაოებს ამთავრებს „კავკანტექმონტაჟის" ქუთაისის სამმართველოს სანტექნიკოსთა ბრიგადა, რომელსაც სამუშაოთა მწარმოებელი ზ. შანიძე ხელმძღვანელობს. ცენტრალური გათბობისათვის საჭირო ქვაბი დადგმულია, ჩაწყობილია სათანადო მილები, ხოლო მთელი გათბობისა და წყლის ქსელის საბოლოო შეერთებისათვის არ ყოფნით 200 მეტრი კაბელი. ეს დროზე ვერ გაითვალისწინეს მომარაგების განყოფილების მუშაკებმა, თორემ შეეძლოთ უკვე გამოეცადათ მთლიანი მონტაჟის ტექნიკური ვარგისიანობა.

რატომღაც აქამდე ვერ მოახერხეს ერთ-ერთი დამხმარე შენობის გადახურვა, რისთვისაც 40-მდე ცალი შიფერი ესაჭიროებათ, როგორც შევიტყვეთ, შიფერი სამმართველოს საწყობში ინახება. მაგრამ გადმოტანაზე ჯერჯერობით თავს იკავებენ.

ადგილზე ჯერ კიდევ არა აქვთ მოტანილი 700 კილოგრამი ოლიფა, 500 კილოგრამი თეთრა და 750 კილოგრამი ზეთოვანი საღებავი. აკლიათ აგრეთვე 25 კუბმეტრი ხე-ტყის გამზადებული მასალა იატაკის დასაგებად. შენობის გვერდითი კიბის ზოგიერთი საფეხური შუა ნაწილში გატეხილია და შეცვლას მოითხოვს, ამასთან ერთ ადგილას სახურავის ჰორიზონტალური წყალგამტარი ღარი უკვე დაუზიანებიათ და შეუკეთებელია.

საკმაოდ გაზრდილია მშენებელთა რიცხვი — 55 სხვადასხვა პროფესიის მუშა საქმიანობს მთავარი შენობისა და დამხმარე ნაგებობათა აგებაზე. აჯობებდა ორ ცვლად მუშაობაზე გადასულიყვნენ, ეს არც დღეიდან იქნება ზედმეტი...

ქებით უნდა მოვიხსენიოთ კომპლექსური ბრიგადა, რომლის ხელმძღვანელია პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი რ. მითაიშვილი, აგრეთვე ნ. ტაციის მედურგლეთა, მ. რომანჩუკის რთული ხნარის მებათქაშეთა ბრიგადები, მშენებელი მუშები ბ. გიგაშვილი, თ. ჯანჯღავა, ვ. კვაჭაძე, ლ. ტაზიდინოვა, ნ. ფილიპოვა, მეამწე შ. კუპრეიშვილი და სხვები.

ამჟამად მშენებლობა ისეთ სტადიაშია, როცა სავსებით შესაძლებელია სამუშაოთა პარალელურად დაიწყოს ირგვლივი ტერიტორიის გასუფთავება და მოზვინვა-მოსწორება. ამ მხრივ კი მშენებლებს ესაჭიროებათ სატვირთო ავტოკანტორის (დირექტორი ა. ჭითანავა) დახმარება.

მშენებლობაზე თითქმის არ ჩანან სკოლის მომავალი მასპინძლები — № 2 რვაწლიანი სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. როგორც უფროსმა სამუშაოთა მწარმოებელმა ა. წოწონავამ განაცხადა, ამ სკოლიდან მხოლოდ ერთხელ მოსულა ორი პედაგოგი 20 მოსწავლით, მაგრამ „ხელების დასვრას" მორიდებიან და მერე არ გამოჩენილან.

რა კარგი იქნებოდა, რომ ასე არ მოქცეულიყვნენ და კვირაში ორ-სამჯერ მაინც შეშველებოდნენ მშენებლებს.

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილ ფაქტებს ანგარიში გაეწევა. ახლა არც ერთი დღე, არც ერთი საათი, არც ერთი წუთი არ უნდა დაიკარგოს უქმად.

ახალი, სათვალსაჩინო შენობა მეათე საშუალო სკოლა დროზე — 20 აგვისტოსათვის უნდა ჩადგეს კოლხიდის ზღვისპირა ქალაქის — ფოთის 440 მოსწავლის აღზრდის სამსახურში.

გაზეთ „კომუნისტის" საგუშაგო: ს. თავართქილაძე — № 10 სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი, ვ. შენგელია — სამუშაოთა მწარმოებელი, ტ. მანია — გაზეთ „ახალი კოლხიდის" კორესპონდენტი, კ. კომახიძე.

## სუბტროპიკულ მეურნეობას — მაღალკვალიფიციური კადრები

# ინსტიტუტი, პლანტაცია, სპეციალისტი...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა ღრმა ანალიზი გაუკეთა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის მიზეზებს და დასახა მთელი რიგი მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებანი. ეს ღონისძიებები მიმართულია სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისაკენ.

როგორც ცნობილია, ყოველთვის დიდი იყო სპეციალისტთა კადრების როლი სახალხო მეურნეობის წინსვლის საქმეში. მაგრამ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის კოლოსალური სისწრაფით განვითარებამ განსაკუთრებით გაზარდა მაღალკვალიფიციური კადრების როლი.

თანამედროვე სპეციალისტს არ შეუძლია მართოს წარმოება, თუ ის დაუფლებული არ არის მეცნიერული კვლევის მეთოდებს. ახლა თითქმის ყოველი სპეციალისტის პრაქტიკული საქმიანობა სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში მეცნიერული კვლევის სახეს უახლოვდება.

ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას სოფლის მეურნეობის დარგზე, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა ძალზე რთულ, ხშირად ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მიმდინარეობს და იგი ჯერ კიდევ ბევრად არის დამოკიდებული გარემო ბუნებრივ ფაქტორებზე.

სოფლის მეურნეობაში არ შეიძლება არსებობდეს ტრაფარეტული რეკომენდაციები ყველა პირობებში გამოსადეგი და სავალდებულო რეცეპტების სახით. წარმოების ეს სპეციფიკა თავისთავად გულისხმობს ღრმა მეცნიერული დიაპაზონის მქონე სპეციალისტების მომზადებას.

სპეციალისტთა აღზრდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კოლექტივის საპატიო ამოცანაა. სუბტროპიკული კულტურების მოყვანა მეტად რთულ და ფრიად განსხვავებულ პირობებში მიმდინარეობს (სუბტროპიკული რაიონების ნიადაგის საფარის დიდი სიჭრელე, მთაგორიანი რელიეფის ექსპოზიციების სხვადასხვაობა, მიკროეკოლოგიური პირობების ნაირსახეობა და თვით სუბტროპიკული კულტურების სიმრავლე მათი ბიოლოგიური თავისებურებების მკვეთრი განსხვავებით, მთაგორიან პირობებში შრომატევადი საწარმოო პროცესების მექანიზაციის სირთულე და სხვ.).

ასევე ითქმის ყველა იმ დანარჩენ სპეციალობაზე, რომლებიც საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროფილს წარმოადგენს. ასეთებია: გარდა სწავლული აგრონომ სუბტროპიკისა, სწავლული აგრონომ-დეკორატორი, ინჟინერ-ტექნოლოგი და სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი თავისი პროფილით ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია საბჭოთა კავშირში, რომელიც ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის კადრებს სუბტროპიკული მეურნეობისათვის. ამიტომ მის მუშაობაში მრავალ სპეციფიკურ, სხვა სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლებისაგან განსხვავებულ დეტალებთან გვაქვს საქმე.

მათ შორის მთავარია მთელ რიგ მაპროფილებელ, ჩვენი ინსტიტუტისათვის განკუთვნილ დისციპლინებში და კათედრებზე მეცნიერული კვლევის გაღრმავება, მეცნიერულ-პედაგოგიური ტრადიციების ჩამოყალიბება. მათ ბაზაზე ორიგინალური, სუბტროპიკული მეურნეობისათვის გამიზნული სახელმძღვანელოების, აგრეთვე დამხმარე სახელმძღვანელოების და მეთოდური მითითებების შექმნა.

ასეთი დისციპლინებია: მეჩაიეობა, სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები, სუბტროპიკული მეხილეობა, სუბტროპიკულ კულტურათა ეკოლოგია, ციტრუსოვანთა სელექცია, სუბტროპიკული მებოსტნეობა, დეკორაციული მებაღეობა, ჩაის, ეთერზეთებისა და სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების ქიმია-ტექნოლოგია, სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და სხვ., აგრეთვე აგროქიმიის, მცენარეთა ფიზიოლოგიის, მცენარეთა დაცვის და მთელი რიგი სხვა დისციპლინების სწავლებისა და მეცნიერული კვლევის წარმართვა ძირითადად სუბტროპიკული მეურნეობის განხრით.

ჩვენ მიერ გამოშვებულ სპეციალისტებს მეცნიერული კვლევის ჩვევები რომ ექნეთ, ინსტიტუტის კოლექტივი ნაყოფიერ შრომას ეწევა სტუდენტთა მეტი რაოდენობის ჩასაბმელად ექსპერიმენტალურ სამუშაოებში. ჩვენმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ სპეციალისტთა ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის საჭიროა აგრონომიულ (სუბტროპიკულ) ფაკულტეტზეც ძირითადად გადავიდეთ სადიპლომო შრომების დაცვაზე, რასაც მოკლე დროში განვახორციელებთ. რაც შეეხება საინჟინრო ფაკულტეტებს, აქ, როგორც წესი, გამოსაშვები სტუდენტები მთლიანად სადიპლომო პროექტებს იცავენ. საჭიროა მხოლოდ ეს პროექტები ორიგინალური კვლევის შედეგად იყოს დამუშავებული.

ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ინსტიტუტის კათედრებს მესამე, მეოთხე კურსიდან ამაგრებენ სტუდენტებს. კათედრების ხელმძღვანელობა ცდილობს სტუდენტებს შეურჩიოს ორიგინალური, უმეტესად წარმოებისათვის აქტუალური თემები, დახვეწოს კვლევის მეთოდიკა და უხელმძღვანელოს დიპლომანტებს ექსპერიმენტის მთელი დროის მანძილზე, დაეხმაროს მათ ცდის შედეგების კამერალურ და ლიტერატურულ დამუშავებაში. სერიოზული კვლევითი სამუშაოები სრულდება სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ხაზითაც.

ამრიგად, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში სტუდენტთა აღზრდის სასწავლო პროცესი ორგანულად არის გადაჯაჭვული მათ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან.

უნდა ითქვას, რომ ამ მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზები გვაქვს. როგორც ცნობილია, მიმდინარეობს ინსტიტუტის მშენებლობა ახალ ბაზაზე, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა. მთლიანად როდი გვაკმაყოფილებს ჩვენი საცდელ-საწარმოო ბაზა. საკმარისად არა გვაქვს უახლესი მოწყობილობით აღჭურვილი ლაბორატორიებიც. ეს ნაკლი მოკლე დროში უნდა გამოსწორდეს.

სტუდენტთა აღზრდის პარალელურად სერიოზული მუშაობა წარმოებს ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადებისათვის. ინსტიტუტს აქვს დასწრებული და დაუსწრებელი ასპირანტურა. აქ 64 კაცი სწავლობს. მათი სადისერტაციო, კვლევითი სამუშაოები ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ხორციელდება. ასპირანტურის გარეშე საკანდიდატო და სადოქტორო თემებზე მუშაობს სამოცამდე თანამშრომელი.

მეცნიერული კადრების ზრდის ტემპებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 13 თანამშრომელმა. ინსტიტუტს უკვე ორი წელია მიცემული აქვს სუბტროპიკულ სპეციალობებში მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება.

ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო სუბტროპიკული მეურნეობის სხვადასხვა დარგის გამოჩენილ მეცნიერებს აერთიანებს. არის 3 აკადემიკოსი და 15 პროფესორი.

ინსტიტუტი თვალსაჩინო დახმარებას უწევს წარმოებას რეკომენდაციების დამუშავებასა და დანერგვაში. დღემდე დამუშავებულია შედარებით ყინვაგამძლე ლიმონის ჯიში —„სლავა მიჩურინას"— ჯიშთა გამოცდის ქსელში გადაცემა. დამუშავებულია აგრეთვე პამიდორის ორიგინალური მაღალმოსავლიანი სამი ჯიში, ბადრიჯნის ერთი და საკონსერვო ტყემლის შვიდი ჯიშის დარაიონება, ჩაის ბუჩქის გასხვლისა და ფოთლის კრეფის ორიგინალური მეთოდი.

დამუშავებულია ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში მინერალური სასუქების რაციონალურად გამოყენების საკითხები. შექმნილია შავი ბაიხაო ჩაის ფერმენტაციის კონტროლის ექსპრესული მეთოდით წარმოების ხელსაწყო. შექმნილია თამბაქოს სინესტის განმსაზღვრელი ხელსაწყო, დანერგილია აგურა ჩაის ფაბრიკებში ჰაერის ვენტილაციისა და კონდიცირების ახალი პროგრესული მეთოდი და სხვ.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს ცოცხალი კავშირი აქვთ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან როგორც რეკომენდაციათა დანერგვის, ისე მეცნიერების უახლესი მონაპოვრების პროპაგანდის საქმეში. პერიოდულად ვაწყობთ კურსდამთავრებულთა შეკრებებს. ბევრ მათგანთან დამყარებულია ცოცხალი, საქმიანი კავშირი. ვცდილობთ ვიყოთ ჩვენი კურსდამთავრებულების ცხოვრებისა და მოღვაწეობის საქმის კურსში.

ინსტიტუტმა ხანმოკლე არსებობის მანძილზე (ინსტიტუტი 1952 წელს ჩამოყალიბდა) ქვეყანას მისცა 1.641 აგრონომი, 945 ინჟინერ-ტექნოლოგი, 524 ინჟინერ-მექანიზატორი და 72 აგრონომ-დეკორატორი, სულ 3.182 სპეციალისტი. დღეისათვის დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების ხაზით ინსტიტუტში 5.200 სტუდენტი სწავლობს. ყოველწლიურად საშუალოდ 400 სპეციალისტს ვუშვებთ.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა მეგობრული კერაა. აქ ასწავლიან და სწავლობენ ქართველები, რუსები, სომხები, აფხაზები, ბერძნები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, კუბელები, ვიეტნამელები და სხვ.

მშობლიური კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა დიდ დახმარებას გვიწევენ სუბტროპიკული მეცნიერებისა და კადრების სამჭედლოს — საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის მშენებლობაში, მის აღჭურვაში უახლესი მოწყობილობითა და ტექნიკით, რათა ეს კერა სანიმუშო იყოს მთელ საბჭოთა კავშირში.

ინსტიტუტი გაცხოველებით ემზადება ახალი ნაკადის მისაღებად. ჩვენი დიდი სურვილია აბიტურიენტები მოვიზიდოთ საქართველოს სუბტროპიკული რაიონებიდან, აგრეთვე აზერბაიჯანის და კრასნოდარის მხარის სუბტროპიკული რაიონებიდან.

იმედი გვაქვს სუბტროპიკული ზონის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები გამოგზავნიან შრომაში გამოჩენილ და აკადემიურად კარგად მომზადებულ ახალგაზრდებს. ინსტიტუტის კოლექტივი არ დაიშურებს ძალასა და ენერგიას სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომი წინსვლისათვის სპეციალისტთა და მეცნიერ მუშაკთა სამედო კადრების აღსაზრდელად.

ი. ბიორგბერიძე,
პროფესორი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი.
ქ. სოხუმი.

# „კომუნისტს" ატყობინებენ

## „კოპორტთან ერთი ხიდია"

სოფელ კოპორტში არსებული ხიდის უვარგისობას ეხებოდა ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი კრიტიკული შენიშვნა, რომლის გამო დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. მწითური გვატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ხიდზე გაკეთებული იყო ხის ფენილი, რაც ადვილად ზიანდებოდა სატვირთო ავტომანქანების ხშირი მოძრაობის შედეგად, ყოველ წელიწადს კეთდებოდა ახალი ფენილი და იხარჯებოდა დიდი თანხები. რკინაბეტონის ფენილის გაკეთება არ ხერხდებოდა საჭირო თანხების უქონლობის გამო. ამჟამად რკინაბეტონის ფენილის მოსაწყობად თანხა გამოყოფილია, ხიდის კაპიტალური შეკეთება დავალებული აქვს მარნეულის № 2 საგზაო სარემონტო-სამშენებლო უბანს (უფროსი ქათამაძე) და მუშაობა მიმდინარეობს. სამუშაო უზრუნველყოფილია, როგორც ხელოსნებით, ისე მუშახელით, ხიდის დროულად აღდგენის და მისი კაპიტალურად შეკეთებისათვის რაიონის ხელმძღვანელობა საქმის კურსშია და დროულად მიიღო საჭირო ღონისძიებანი.

ხიდი მთლიანად გაკეთდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა ორ თვეში.

## „ჩიხელთა ჩივილი"

სიგნალი, რომელიც „კომუნისტში" გამოქვეყნდა, ამხილებდა საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფაში არსებულ ნაკლოვანებებს. წერილთან დაკავშირებით საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ტ. ჩაჩანიძე გვატყობინებს:

გაცნობებთ, რომ გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული კორესპონდენცია „ჩიხელთა ჩივილი" სინამდვილეს შეიცავს.

მშრომელთა დეპუტატების ჩიხის სასოფლო საბჭოს აღმასკომს და კოლმეურნეობის გამგეობას მიეცათ დავალება უახლოეს პერიოდში დაამთავრონ სასმელი წყლის გაყვანის სამუშაოები, რაც კოლმეურნეობის გამგეობას უკვე დაწყებული აქვს.

## ბნელში ვზივართ

ელექტროხაზების უვარგისობას და ახალციხის ზოგიერთ სოფელში ელექტროგანათების მოუწესრიგებლობას ეხებოდა „კომუნისტში" დაბეჭდილი წერილი „ბნელში ვზივართ", რომლის გამო ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომი რედაქციას გვატყობინებს:

შემოწმებულ იქნა გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე გამოქვეყნებული კორესპონდენცია — „ბნელში ვზივართ", ფაქტები დადასტურდა.

რაისაბჭოს აღმასკომმა იმსჯელა მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და დაავალა ახალციხის ელექტროქსელების დირექციას უზრუნველყონ მდგომარეობის გამოსწორება. ჩატარებული მუშაობის შედეგად სოფლების მუგარეთის, აგარის, წინუბნის, ზიკილიის, თისელის და ტყემლანის ტერიტორიაზე შეიცვალა მაღალი ძაბვის ძველი ანძები, სამ კილომეტრზე გაყვანილ იქნა ახალი ელექტრო ხაზი და რეკონსტრუირებულია ძველი გამტარები. ამჟამად მოსახლეობა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით.

# მკითხველის კალმით

△ ამიერკავკასიის რკინიგზის ტექნიკის სახლის ინიციატივით მოწყობილი ტექნიკური პროპაგანდის ვაგონი მომსახურებას უწევს რკინიგზის კვანძის მუშაკებს.

ამას წინათ რკინიგზის ბათუმ-სამტრედია-ფოთის უბანზე მოეწყო ლექციები და სემინარი, რაც მიეძღვნა მოწინავე რკინიგზელთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვის საკითხს. აბაშელ რკინიგზის მუშაკთათვის სამტრედიის სალიანდაგო დისტანციის ინჟინერმა რ. გელაზანიამ და რევიზორმა დ. ქაჯაიამ წაიკითხეს ლექციები ტექნიკურ სიახლეთა შესახებ. (ვ. ცომაია).

△ სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება ენგურჰესის მშენებლობის ერთ-ერთი უბანი სოფელი ჯვარი. მან ქალაქის ტიპის დასახლების ფორმა მიიღო.

ენგურჰესის მშენებლების უკეთ მომსახურების მიზნით შეიქმნა ზუგდიდ-ჯვარის გაზის საუბნო კანტორა. მცხოვრებთა ბინებში უკვე დამონტაჟდა 525 გაზქურა. (ზ. სოზრატიშვილი).

△ ცხინვალის ელექტროვიბრომანქანების ქარხანაში ყოველწლიურად იზრდება მუშა-რაციონალიზატორთა რიცხვი.

ზეინკალმა მ. ქოქოევმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ცხაურის ღარვის პროცესი, რითაც წარმოებამ 1.443 მანეთი ეკონომია მიიღო. ზეინკალ დ. გაზიევის რაციონალიზატორული წინადადების დანერგვით — მარტივი ხელსაწყოს მეშვეობით, გაუმჯობესდა ტვიფრების დამზადება. ასევე ნაყოფიერი გამოდგა ზეინკალ ზ. ცხოვრებოვის წინადადება, რომელიც ახანგრძლივებს ტვიფრების გამძლეობას.

ა. ბულგაკოვი.

## კინოფესტივალის ორბიტაზე

# კინოხელოვნების ჰუმანურობისათვის

მოსკოვი, 13 ივლისი. (საკდესი). [illegible] გრამ ისე მოხდა, რომ დღეს კინოკონკურსის დიდი ეკრანი დაეთმო სკანდინავიას. დღისით დანია უჩვენებდა თავის საკონკურსო ფილმს „ქალიშვილი ტინე", საღამოს კი — კინონოველას „4×4", რომელიც წარმოადგინა ნორვეგიამ. თანაავტორები იყვნენ ნორვეგია, დანია, შვეცია და ფინეთი.

„ქალიშვილი ტინე" არის ცნობილი დანიელი მწერლის ჰერმან ბანგის რომანის „ტინეს" ეკრანიზაცია, რომელიც ახალგაზრდა რეჟისორმა კ. ლ. ტომსენმა განახორციელა. რეჟისორი უჩვენებს დროის აუჩქარებელ, მდორე დინებას, რაც დამახასიათებელია საყოფაცხოვრებო დეტალების ამსახველი წიგნისათვის, პატარა ქალაქის ყოველდღიური ცხოვრებისათვის. ცხოვრებაში შეიჭრა დანია-პრუსიის ომი, და შეცვალა მისი ჩვეულებრივი დინება. ნორვეგიის მიერ ნაჩვენები ნოველები „4×4" არ არიან გაერთიანებული საერთო თემით. თითოეული მათგანისათვის საერთოა ლირიკული განწყობილება, ცხოვრებაზე დაკვირვება. ეს ახასიათებს ფილმებს „თეთრბურთიანი გოგონა" (ნორვეგია), „ზაფხულის ომი" (დანია), „გაჩერება მიურლანდეტში" (შვეცია) და „რატომ" (ფინეთი). თოთხივე მოთხრობა ნამდვილი ცხოვრების ნაწყვეტებს მოგვაგონებს.

მოსკოვი, 13 ივლისი. (საკდესის [illegible]) [illegible] გოვოს, რომელმაც დადგა საკონკურსო ფილმი — ზღაპარი „თეთრკანიანი მავრი", რეჟისორს, ვისი ნახატი და მხატვრული ფილმებიც უცვლელი წარმატებით სარგებლობს საბჭოთა მაყურებლებში.

ისრაელის კინოდელეგაციის მეთაურმა მიშა აშეროვმა თავისი ქვეყნის კინოწარმოების მოკლე მიმოხილვაში აღნიშნა, რომ ახლა ორ ეროვნულ კინოსტუდიას შეუძლია გამოუშვას ცხრამდე ფილმი წელიწადში. ამ ფილმების უმრავლესობა, — შენიშნა მან, — ერთობლივი წარმოების სურათებია. ისრაელის კინემატოგრაფისტები იმედოვნებენ, რომ წელს შექმნილი ახალი სტუდია შესაძლებლობას მისცემს კინემატოგრაფისტებს მალე 20-მდე კინოსურათი გამოუშვან წელიწადში.

[illegible] ერთმა პირველმა მიულოცა ქართველ კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძეს ფილმ „ჯარისკაცის მამის" ბრწყინვალე წარმატება.



სურათზე: კიოხიკო უსიხარა (მარჯვნივ) ესაუბრება რევაზ ჩხეიძეს (შუაში — თარჯიმანი).

ფოტო გ. შეყილაძისა.

# აღიკვეთოს იმპერიალისტური აგრესია!

[illegible] გვიან ღამემდე გაგრძელდა გუშინ კონგრესის გეგმისგარეშე პლენარული სხდომა. ამ სხდომაზე დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში გამოთქვეს მსოფლიო საზოგადოებრიობის დიდი აღშფოთება და გულისწყრომა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გამო, რასაც ვიეტნამში სჩადიან.

განსაკუთრებით მგზნებარედ გაისმა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის კ. გუდლეტის სიტყვა, რომელშიც მან ამხილა ამერიკის იმპერიალიზმი.

ვერაფრით ვერ გავამართლებთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოქმედებას, განაცხადა ამერიკელმა დელეგატმა.

გუდლეტმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერდება საპროტესტო მოძრაობა ვაშინგტონის აგრესიული კურსის წინააღმდეგ, მტკიცდება ამ მოძრაობის კავშირი მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობასთან.

ჩვენ, განაგრძო ამერიკის წარმომადგენელმა, დაუცხრომლად ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაიწყოს მოლაპარაკება სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტთან, რომელიც ნამდვილად გამოხატავს მთელი სამხრეთვიეტნამელი ხალხის ნება-სურვილს.

ახლა მთელ მსოფლიოში ქუხს მოწოდება — ამერიკელო იმპერიალისტებო, გაეთრიეთ ვიეტნამიდან, განაცხადა კონ-[illegible]თა დაეხმარონ ვიეტნამელ ხალხს გააძევოს თავისი ქვეყნიდან ამერიკელი იმპერიალისტები.

გვინეის წარმომადგენელმა ა. დიალომ კონგრესს გადასცა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" ლენინური პრემიის ლაურეატის, გვინეის პრეზიდენტის სეკუ ტურეს მისალმება და თქვა, რომ გვინეა სოლიდარობას უცხადებს უყველა მებრძოლ ხალხს.

კონგრესის პრეზიდიუმის წარმომადგენელმა პალივალმა (ინდოეთი) განაცხადა, რომ ყოველდღიურად მშვიდობის ფორუმის სახელზე ბევრი მისასალმებელი წერილი მოდის ყველა ქვეყნიდან. მან, კერძოდ, წაიკითხა ბელგიის დედოფლის ელისაბედისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცედენბალის წერილები.

კუბელმა დელეგატმა ხ. მარინელიომ აღნიშნა, რომ კუბა სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას, და მოითხოვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ აგრესია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აგრეთვე კონგოში, დომინიკის რესპუბლიკასა და მსოფლიოს სხვა რაიონებში.

ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა ჩაო ი-მინმა გადაჭრით დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკა. ამასთანავე მან თავისი გამოსვ-[illegible] ისინი, ვინც ცდილობს განხეთქილება შეიტანოს კონგრესისა და მშვიდობის მსოფლიო მოძრაობის მუშაობაში.

პლენარული სხდომის დასასრულს გამოვიდნენ მებრძოლი აფრიკის წარმომადგენლები, რომლებმაც დელეგატებს აცნეს საფრანგეთის სომალის, მოზამბიკის, ანგოლისა და პორტუგალიის გვინეის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა და ბრძოლა კოლონიზატორთა წინააღმდეგ.

გუშინ ალბანეთის წარმომადგენლის ცილისმწამებლური გამოსვლის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად კონგრესის პირველ კომისიაში საბჭოთა დელეგაციამ დატოვა სხდომათა დარბაზი, სანამ სიტყვას ამბობდა ეს დელეგატი.



ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი ფხიზლად არის. ამერიკელ ჰაერის მეკობრეთა თავდასხმების მოსაგერიებლად ყველგან შექმნილია თავდაცვის რაზმები და სახალხო მილიციის ქვეგანაყოფები.

სურათზე: თავდაცვის რაზმის მებრძოლთა მომზადება.

ფოტო საკდესის სპეციალური კორესპონდენტის ვ. სობოლევისა.

### პარტიზანები იბრძვიან

ნიუ-იორკი, 13 ივლისი. (საკდესი). სამხრეთვიეტნამელი პარტიზანები კვლავ თავს ესხმიან რაიონებს, სადაც განლაგებულია ამერიკისა და საიგონის მთავრობის ჯარები.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იმოწმებს ამერიკის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლის ცნობას და იუწყება, რომ სამხრეთვიეტნამელი პარტიზანები გუშინ თავს დაესხნენ საზღვაო ქვეითი ჯარის გაძლიერებულ რაზმს ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი ავიაბაზის და-ნანგის მახლობლად. თავდასხმის შედეგად საზღვაო ქვეითი ჯარის რაზმს დაუხოცეს 5 და დაუჭრეს 17 ჯარისკაცი და ოფიცერი. კორესპონდენტი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკამ დიდძალ ჯარს მოუყარა თავი ამ რაიონში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის სამხედრო სარდლობისათვის, სამხრეთვიეტნამელი პარტიზანები მაინც აქტიურად მოქმედებენ. და-ნანგსა და მის მიდამოებში დაბანაკებულია ამერიკის შეერთებული შტატების 9 ათასზე მეტი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი.

ამავე დღეს სამხრეთვიეტნამელმა პარტიზანებმა ოპერაციები განახორციელეს ამერიკის ფუ-ბაის ავიაბაზის რაიონში, ქალაქ ჰუეს მახლობლად აგრეთვე ფუ-იენისა და ბინ-დინის პროვინციებში.

# საერთაშორისო ცხოვრება

### მ. ნიკეზიჩის განცხადება

ბელგრადი, 13 ივლისი. (საკდესი). კაიროდან დაბრუნდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი მ. ნიკეზიჩი. ბელგრადში ჩამოსვლისას მან განაცხადა, რომ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მოლაპარაკებას ვაწარმოებდი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილესთან მ. ფავზისთან და საგარეო საქმეთა მინისტრ მ. რიადთან. მოლაპარაკების დროს მონაწილეებმა ბევრი იმსჯელეს აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

ნიკეზიჩი მიიღო აგრეთვე პრეზიდენტმა ნასერმა. ნიკეზიჩმა განაცხადა, რომ ნასერი მოწვეულია იუგოსლავიაში. ნასერის ვიზიტი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში მოსალოდნელია უახლოეს ხანს, თუმცა ზუსტი თარიღი ჯერ არ არის დადგენილი.

### ლ. ჯონსონის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 13 ივლისი. საკდესის კორესპონდენტები ვ. კოპიტინი და ვ. პეტრუსენკო იუწყებიან:

შეერთებული შტატები კვლავაც გააფართოებენ ვიეტნამში თავიანთი ჯარების რიცხვს, განაცხადა პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა დღევანდელ პრეს-კონფერენციაზე.

ამართლებდა რა შეერთებული შტატების აგრესიულ პოლიტიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იგრეთწოდებული „აგრესიით ჩრდილოეთიდან", პრეზიდენტმა თქვა, რომ ამერიკის ავიაციის თავდასხმები „ჩრდილოეთ ვიეტნამის შერჩეულ სამხედრო ობიექტებზე" გაგრძელდება. მან დასძინა, მომავალში, შესაძლოა, „ახალი და სერიოზული გადაწყვეტილებანი" მივიღოთ.

პრეზიდენტმა ჯონსონმა არ აღნიშნა იმ დამატებითი ჯარების ზუსტი რაოდენობა, რომელთა გაგზავნას სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატები აპირებენ. მან განაცხადა, რომ საიგონში მიმავალი თავდაცვის მინისტრი მაკნამარა და ახალი ელჩი სამხრეთ ვიეტნამში ლოჯი ყურადღებით განიხილავენ მდგომარეობას სამხრეთ ვიეტნამში, ხოლო შემდეგ მთავრობა გადაწყვეტს, რა რაოდენობით უნდა გაიგზავნოს დამატებითი ჯარები სამხრეთ ვიეტნამში მიმდინარე წლის ბოლომდე.

ერთ-ერთი კორესპონდენტის თხოვნის გამო დაეხასიათებინა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობა, ჯონსონმა განაცხადა, „ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული არიან კვლავაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეთ საბჭოთა კავშირთან". პრეზიდენტმა „დიდი სინანული" გამოთქვა ამ ურთიერთობის გაუარესების გამო, რაც ვიეტნამში შექმნილი მდგომარეობით აიხსნება. მაგრამ ჩვენი ეროვნული ღირსება, ხაზი გაუსვა ჯონსონმა, გვკარნახობს უცვლელად განვახორციელოთ ჩვენი ახლანდელი პოლიტიკა.

უპასუხა რა მეორე კითხვაზე, ჯონსონმა განაცხადა: ცნობები, რომ საბჭოთა კავშირი აპირებს გაუწიოს დახმარება ჩრდილოეთ ვიეტნამს, ამერიკის მთავრობისათვის მოულოდნელი არ ყოფილა.

### საბჭოთა გამოფენა

ლონდონი, 13 ივლისი. (საკდესი). დღეს ლონდონში სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ე. ა. ფურცევამ გახსნა საბჭოთა თეატრალური ხელოვნების გამოფენა. გამოფენის გახსნას დაესწრნენ ინგლისის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საპარლამენტო მოადგილე ჯენი ლი და საბჭოთა კავშირის ელჩი ა. ა. სოლდატოვი. გამოფენა მოთავსებულია როიალ ფესტივალ-ჰოლის დარბაზში. გამოფენაზე წარმოდგენილია გამოჩენილი საბჭოთა თეატრალური მხატვრების — გოლოვინის, რინდინის, აკიმოვის, ტიშლერის, დმიტრიევის, ზოლოტარიოვის, ფალკის, ვილიამსისა და სხვების ნამუშევრები. საერთო ყურადღებას იპყრობს კოსტუმების ესკიზები, რომლებიც მაიაკოვსკიმ შექმნა „მისტერია-ბუფისათვის".

თავის სიტყვაში ე. ა. ფურცევამ ხაზი გაუსვა ინგლისისა და საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობა არასოდეს არ ყოფილა ასე მჭიდრო და მრავალმხრივი, და ეს გამოფენაც ამის თვალსაჩინო დადასტურებაა. რინდინის („ჰამლეტი"), აკიმოვის („მეთორმეტე ღამე" და „დონ ჟუანი"), ტიშლერის („ჰამლეტი", „მეფე ლირი" და „მეთორმეტე ღამე"), ვილიამსის („რომეო და ჯულიეტა" და „პიკვიკის კლუბი") დეკორაციები მოწმობენ, თუ რაოდენ პოპულარულია საბჭოთა კავშირში ინგლისური ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები.

### დამნაშავენი გაამართლეს

რომი, 14 ივლისი. (საკდესი). გუშინ მუშაობა დაამთავრა პარლამენტის კომისიამ, რომელმაც გამოიძია ვაიონტის კაშხალის კატასტროფის მიზეზები. როგორც ცნობილია, 1963 წლის შემოდგომაზე ადიდებულმა წყალმა გადალახა კაშხალი და წალეკა ახლომდებარე დაბა.

იტალიაში არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ კატასტროფა, რომლის დროსაც ბევრი ხალხი დაიღუპა, მოხდა კაშხალის ამგები კომპანია „სადეს" მფლობელთა მიზეზით. მაგრამ, კომისიაში, რომელმაც ეს საქმე გამოიძია, კომპანიას საკმაოდ ბევრი დამცველი გამოუჩნდა. ქრისტიან-დემოკრატების, სოციალ-დემოკრატების, ლიბერალების, მონარქისტების და ნეოფაშისტების ხმებით „სადეს" მფლობელები გაამართლეს. კომისიის წევრმა კომუნისტებმა და სოციალისტებმა ხმა მისცეს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

### ჩამოაგდეს 99 თვითმფრინავი

ჰანოი, 13 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იმოწმებს რადიო „პატეტ ლაოს ხმას" და იუწყება, რომ მიმდინარე წლის იანვრიდან 4 ივლისამდე ლაოსის პატრიოტულმა ძალებმა ჩამოაგდეს ამერიკის 99 თვითმფრინავი. ეს თვითმფრინავები თავს ესხმოდნენ ტერიტორიას, რომელსაც კონტროლს უწევს პატეტ ლაო.





აშშ. ამერიკის შეერთებული შტატების ხალხი იწყებს თავისი მთავრობის მილიტარისტული კურსის საშიშროებისათვის თანდათან შეცნობას. დემონსტრანტები ამერიკის ქალაქ ბალტიმორში პროტესტს აცხადებენ ომისა და აგრესიის პოლიტიკის წინააღმდეგ. „ჩვენ ხმა მივეცით მშვიდობას ვიეტნამში" — დაწერილია ტრანსპარანტებზე („ვიე ნუოვე").

### კვლავ თავდასხმები

ჰანოი, 13 ივლისი. (საკდესი). ამერიკის რეაქტიული ავიაგამანადგურებლების ჯგუფებმა 12 ივლისს რამდენჯერმე დაარღვიეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო. ამერიკის ავიაციამ დაბომბა ფუ-თხოს, ნგე-ანის, ხატინის პროვინციების სამრეწველო ობიექტები, აგრეთვე იენ-ბაის პროვინციის დასახლებული პუნქტები. იენ-ბაის პროვინციაში ჰოსპიტლისა და სხვა ობიექტების დაბომბვის დროს დაიხოცა 47 და დაიჭრა 20-ზე მეტი კაცი.

ამის გამო, ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კავშირის მისიამ საპროტესტო წერილი გაუგზავნა ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას.

# ლონდონის სახურავებქვეშ

### ინგლისელ ბინის დამქირავებელთა საზრუნავი

„ხუთი კაცისაგან შემდგარი ოჯახი ქუჩაში გააგდეს", „ბინის ქირის ამკრეფს სახლში ნაგაზები მოჰყავს", „7000 უთავშესაფარო ლონდონში!"

დღე არ გავა ისე, რომ ინგლისურ პრესაში არ გამოქვეყნდეს სტატიები ბინის პრობლემაზე.

როცა „ადამიანური" პირობები (საქმე ეხება ფაბრიკებში ბავშვთა შრომისა და შახტებში ქალთა შრომის გამოყენებას თუ ბინების მხრივ დღევანდელ სავალალო მდგომარეობას) არაადამიანური ხდება, გაისმის საზოგადოებრიობის აღშფოთებული ხმა. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს მთავრობა რაღაც ღონისძიებათა მიღებას ან, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს ისე აჩვენოს, თითქოს რაღაცას აკეთებს. მთავრობა ნიშნავს ცნობილ საზოგადო მოღვაწეთაგან შემდგარ კომიტეტს. მათ დავალება ეძლევათ გულდასმით შეისწავლონ საქმე, შეაგროვონ ფაქტები, შემდეგ კი წარადგინონ თავიანთი რეკომენდაციები.

ყოველივე ამაში ყველაზე შემაძრწუნებელია ის, რომ თითეულ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტები კარგად არის ცნობილი. მაგრამ ყველაფერი მაინც აი როგორ ხდება: კომიტეტი იწყებს მუშაობას, აგროვებს სტატისტიკურ მონაცემებს, ადგენს დიაგრამებს, ინტერვიუს ართმევს თვითხიხების მსხვერპლთ. შემდეგ იწერება მოხსენება, რომელსაც... მთავრობა მაუდქვეშ ამოდებს ხოლმე.

1963 წელს ინგლისში შეიქმნა მორიგი კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მილნერ ჰოლანდი. მისი ამოცანა იყო გამოეკვლია ლონდონის საბინაო პირობები, ხოლო რაც მთავარია — გამოერკვია ურთიერთობა ბინის დამქირავებლებსა და სახლმფლობელებს შორის. შეგროვებული მასალები წარედგინა მთავრობას მოხსენების სახით 450 ფურცელზე. კომიტეტს ამ მუშაობის დასამთავრებლად 18 თვე დასჭირდა.

მოხსენებაში მოყვანილია მაგალითები სხვადასხვა ხრიკებისა, რომლებსაც მიმართავენ სახლმფლობელები, რომ თავიდან მოიცილონ არასასურველი მდგმურები: ოთახებში შეჰყრიან ხოლმე მკვდარ ვირთაგვებს, ველებს უშვებენ აბაზანებში, საწოლებს აყრიან მუხის გამომწვევ ფხვნილს, ფანტავენ დამპალ ბოსტნეულს და სხვ. მაგრამ უფრო ხშირად ყოველივე ბინის ქირას მოუმატებენ ხოლმე.

მოხსენების ავტორები იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ „ბინის დამქირავებლებს დაეკარგათ იმის რწმენა, რომ თავზე მუდამ ექნებათ ჭერი". ამიტომ ისინი იძულებული არიან იხადონ ბინაში დიდი თანხა, „რათა უთავშესაფარონი არ დარჩნენ".

როგორ აღმოჩნდნენ ინგლისელები ისეთ მდგომარეობაში, როცა იძულებული არიან იხადონ ბინაში ისეთი თანხა, რომელიც ხელფასის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, და ამასთანავე არა ჰქონდეთ ხვალინდელი დღის რწმენა?

ავიღოთ თუნდაც ჩვენი ოჯახი. ჩვენ ვცხოვრობთ ჰემპსტედში — ლონდონის, ვგონებ, ყველაზე სასიამოვნო რაიონში. ჩვენი სახლი ძველია, ამ ცოტა ხნის წინათ მას 100 წელი შეუსრულდა. ჩვენს სამზარეულოში დღემდე შემორჩენილია სალაპარაკო მილი, რადგან წარსულში, როცა ასეთი სახლები მხოლოდ ერთ ოჯახს ეკუთვნოდა, მსახურები სარდაფში ცხოვრობდნენ, და მათი გამოძახება მხოლოდ ამ სალაპარაკო მოწყობილობის საშუალებით შეიძლებოდა. ჩვენ გვიყვარს ჩვენი სახლი, მოგვწონს მისი სქელი კედლები, განიერი ოთახები. მართალია, დროთა განმავლობაში სახლი უკეთესი როდი გახდა. არც ერთი ფანჯარა რიგიანად არ იხურება, კარები ცუდად არის დაკიდებული ანჯამებზე.

ჩვენ აქ გადმოვედით იმ დროს, როცა ლონდონზე ჰიტლერელთა საჰაერო თავდასხმები განსაკუთრებით ძლიერი იყო. როცა მეზობელი შენობა ბომბის პირდაპირი მოხვედრებით დაინგრა, ჩვენი სახლი გადარჩა, მაგრამ ღრმად დაიბზარა. იგი ბევრჯერ შეაკეთეს.

იმ დროს ბინის ქირაზე კიდევ არსებობდა კონტროლი, და სავსებით დარწმუნებული ვიყავით, რომ თავზე ჭერი გვექნებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სანამ ბინის ქირას ვიხდიდით (ჩვენს შემთხვევაში ეს 150 გირვანქა სტერლინგი იყო), სახლის მფლობელს არ შეეძლო ქუჩაში გავეყარეთ. უფრო მეტიც, იგი მოვალე იყო სახლის რემონტთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრა.

მაგრამ აი დადგა 1957 წელი, და მიღებულ იქნა კანონი ბინის ქირის შესახებ. ბინის ქირაზე მთავრობის კონტროლი აღარ იყო, და ბინის დამქირავებლებმა ხვალინდელი დღის რწმენა დაკარგეს.

ბევრი ტომი დასჭირდებოდა ყველა იმ უბედურების, ხერეული შერყევისა და თვითმკვლელობის აღწერას, რაც ამ ნიადაგზე მოხდა. ყველაზე ძლიერ დაზარალდნენ მცირეშემოსავლიანი ადამიანები, პენსიონერები, ახლადდაქორწინებულები.

ჰენრი ბრუკი, საბინაო მშენებლობის მაშინდელი მინისტრი კონსერვატორთა მთავრობაში და პარლამენტის წევრი ჰემპსტედიდან, ინგლისში ყველაზე საძულველი ადამიანი გახდა. იმ დღეებში, როცა მიღებულ იქნა კანონი ბინის ქირის შესახებ, მან მცველებად მოითხოვა პოლიციელები, ვინაიდან ეშინოდა შეხვედროდა განრისხებულ მობინადრეებს.

მოკლე პერიოდში ბევრმა სახლმფლობელმა ორჯერ და სამჯერაც კი გაადიდა ბინის ქირა. რა თქმა უნდა, ერთ მშვენიერ დღეს სახლმფლობელს შეეძლო გადაეწყვიტოს (რასაც ხშირად კიდევაც აკეთებს) მთლიანად გაყიდოს თავისი სახლი და ქუჩაში გარეკოს ადამიანები. სახლებით სპეკულაციამ უკანასკნელ ხანს ინგლისში ფანტასტიკური ხასიათი მიიღო...

მაგრამ სახლის პატრონმა ჩვენ 1957 წელს ქუჩაში არ გაგვრეკა. მან მხოლოდ ერთიორად და მეტად გაადიდა ბინის ქირა. ახლა ის სახლის რემონტისათვის თავს აღარ იწუხებს — ჩვენ თვითონ ვართ მოვალენი წესრიგში ვიქონიოთ ასი წლის სახლი.

უკანასკნელი არჩევნების დროს ლეიბორისტებმა დიდი ამბით წამოაყენეს ლოზუნგი, ხელისუფლების სათავეში რომ ჩავდგებით, 1957 წლის კანონს გავაუქმებთო. და აი აპრილში თემთა პალატამ მოიწონა ახალი კანონპროექტი ბინის ქირის შესახებ. იგი თითქმის მთლიანად იმეორებს 1957 წლის კანონს და არ შეესაბამება ლეიბორისტთა წინასაარჩევნო დაპირებებს. მართალია, ახლა სახლმფლობელს არ შეუძლია ქუჩაში გარეკოს ოჯახი, თუ იგი ბინის ქირას რეგულარულად იხდის.

მაგრამ როგორ შეძლებენ ბინის სულ უფრო მზარდი ქირის გადახდას მცირეშემოსავლიანი ოჯახები, უმუშევრები, მოხუცები, რომლებიც ღატაკურ დახმარებას იღებენ? ამაზე ლეიბორისტული მთავრობა პასუხს არ იძლევა.

ბრიჯიტ ნიკოლსონი,
ინგლისელი ჟურნალისტი.
ლონდონი.

# შეტაკება სამხრეთ სუდანში

პარიზი, 13 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ხართუმიდან იუწყება, სამხრეთ სუდანში, ეკვატორიის პროვინციის დედაქალაქ ჯუბში გამოცხადებულია საგანგებო წესები და შემოღებულია კომენდანტის საათი.

სუდანის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც ომდურმანის რადიოსადგურმა გადასცა, ნათქვამია, რომ ეს ღონისძიებანი განხორციელდა მას შემდეგ, რაც მოხდა შეიარაღებული შეტაკებანი პროვინციის ტომებსა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ჯარებს შორის.

ლონდონი, 13 ივლისი. (საკდესი). სუდანის სამხრეთ ოლქის სარდალმა გენერალ-მაიორმა აჰმედ შარიფ ჰაბიბმა განაცხადა, რომ ჯუბში ადგილობრივი ტომებისა და მთავრობის ჯარების შეტაკების დროს დახოცილია 26 კაცი. გენერალმა აღნიშნა, რომ ჯარისკაცებმა სროლა დაიწყეს მას შემდეგ, რაც ტომთა რაზმები თავს დაესხნენ ჯუბში დაბანაკებული არმიის ყაზარმებს.

როგორც როიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ხართუმიდან იუწყება, ადგილობრივი ჟურნალისტები თავის მხრივ ამტკიცებენ, ამ შეტაკების დროს სულ ცოტა 100 კაცი დაიხოცა.

### სხვადასხვა მერიდიანზე

□ ამერიკის რაკეტა „ატლას-აგენა" მოსპობილ იქნა, როგორც კი ასცდა კურსს, განაცხადა ვანდენბერგის (კალიფორნიის შტატი) სამხედრო-საჰაერო ბაზის წარმომადგენელმა. ამ დროს რაკეტა იყო წყნარი ოკეანის თავზე, ამიტომ მისი ნამსხვრევები ვერ აღმოჩნდა. ასეთ რაკეტებს იყენებდნენ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გასაყვანად.

□ იმ დროს, როცა ფილიპინების სამხრეთ ნაწილში რვა ქალაქი წალეკა აბობოქრებულმა მდინარე რიო გრანდე დე მინდანაოს წყალმა, ჩრდილოეთ ფილიპინებში ტაიფუნმა „ფრედამ" გადაუარა კაგაიანის პროვინციის მდიდარ თამბაქოს პლანტაციებს 250 მილზე მანილის ჩრდილოეთით. ქარის სიჩქარე 118 მილს აღწევდა საათში. დაირღვა მანილისა და ჩრდილოეთის პროვინციების კავშირის ხაზები წინასწარი მონაცემებით ტაიფუნმა დიდი მატერიალური ზარალი გამოიწვია. არის მოსახლეობის მსხვერპლი. (საკდესი).

# „ილიჩის არმიის მარშალი"

### ლ. ბ. კრასინის დაბადების 95 წლისთავი



კრემლის კედელზე, ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ახლოს, მოოქროვილი ასოებით გაკეთებულია წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ აქ დაკრძალულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ლეონიდ ბორისის-ძე კრასინი. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს ერთი მხრივ ამ ადამიანის დიდ დამსახურებაზე საბჭოთა ხალხის წინაშე, ხოლო მეორე მხრივ მშრომელთა პატივისცემაზე თავიანთი ქვეყნის სახელოვანი შვილისადმი.

რევოლუციურ მოძრაობაში ლ. კრასინი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჩაება. 80-იანი წლების ბოლოდან იგი აქტიურად მონაწილეობდა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა პირველი მარქსისტული წრეების მუშაობაში, რისთვისაც რამდენჯერმე იქნა გარიცხული ინსტიტუტიდან და გადასახლებული დედაქალაქიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლ. კრასინის მუშაობა ბრუსნევის მარქსისტულ ჯგუფში, რომლის წევრები შემდეგში თითქმის უკლებლივ შევიდნენ ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილ „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში".

1895 წლის იანვარში ლ. კრასინი ბრუსნევის ჯგუფის საქმეზე სამი წლით გადაასახლეს ირკუტსკში. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მას უფლება მისცეს განეგრძო სწავლა ხარკოვის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, რომელიც 1900 წელს დაამთავრა.

1900-1904 წლებში ლ. კრასინი მუშაობდა ბაქოს ელექტროსადგურის მშენებლობის უფროსად. აქ იგი თავის გარშემო იკრებს პროფესიულ რევოლუციონერთა მტკიცე ბირთვს და დიდ მუშაობას აჩაღებს მთელ ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული მიმართულების ორგანიზაციების შექმნისა და განმტკიცებისათვის. რსდმპ ბაქოს, თბილისისა და ბათუმის კომიტეტების მუშაობის კოორდინაცია „ისკრის" რედაქციასთან, პირადად ვ. ი. ლენინთან რეგულარული კავშირის დამყარება, ლ. კეცხოველის მიერ შექმნილი ბაქოს არალეგალური სტამბის რეორგანიზაცია და მისი გადაქცევა პარტიის ცენტრალურ სტამბად, „ისკრის" ცალკეული ნომრების გამრავლება და მთელ რუსეთში მისი ფართოდ გავრცელება — ასეთია ლ. კრასინის დაუღალავი რევოლუციური მუშაობის ძირითადი მომენტები ამ პერიოდში.

რსდმპ II ყრილობის შემდეგ ლ. კრასინი კოოპტაციით შეყვანილ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. პირველ ხანებში იგი ერთგვარ მერყეობას განიცდიდა და მენშევიკებთან შემარიგებლობას იჩენდა, მაგრამ მალე დაძლია ეს შეცდომა და მტკიცედ დადგა ლენინურ პოზიციაზე.

ლ. კრასინმა აქტიური მონაწილეობა მიიღო რსდმპ III (ბოლშევიკური) ყრილობის მუშაობაში. იგი არჩეულ იქნა ყრილობის თავმჯდომარის (ვ. ი. ლენინის) მოადგილედ, გამოვიდა საანგარიშო მოხსენებებით ცენტრალური კომიტეტისა და საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობის შესახებ, აგრეთვე სიტყვებით ყრილობის დღის წესრიგის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ლ. კრასინი განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდა. იგი ენერგიულად ხელმძღვანელობდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საბრძოლო-ტექნიკურ ჯგუფს, რომელსაც ევალებოდა მუშათა რაზმების შექმნა და შეიარაღება, საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანა, შეიარაღებული გამოსვლების მოწყობა და სხვ. ამავე დროს იგი იყო პარტიის უცვლელი ხაზინდარი და „ფინანსთა მინისტრი", არალეგალური და ლეგალური სტამბების შეუდარებელი ორგანიზატორი. მის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია 1905-1907 წლების რევოლუციის ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენები, როგორიც იყო შეიარაღებული აჯანყებები მოსკოვსა და სხვა ქალაქებში, ხელის ყუმბარების დამამზადებელი ლაბორატორიების მოწყობა, შავრაზმელთა მუქარისაგან ა. მ. გორკის დასაცავად ქართველთა შეიარაღებული რაზმის შედგენა, პარტიის ახალი ცენტრალური სტამბის მოწყობა მოსკოვში ლესნაიას ქუჩაზე, პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს შექმნა.

1908 წლის 9 მარტს ლ. კრასინი დააპატიმრეს, მაგრამ მან მოახერხა განთავისუფლება და საზღვარგარეთ წავიდა. 1908-1912 წლებში ლ. კრასინი ემიგრაციაში იმყოფებოდა. ამ პერიოდში იგი აქტიურად აღარ მუშაობდა პარტიაში, ხოლო 1910 წლიდან ჩამოსცილდა ბოლშევიკურ ცენტრს და მიემხრო „ვპერიოდელთა" „ულტრამემარცხენე" ჯგუფს, რომელიც „ოტზოვისტურ" პოზიციებზე იდგა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ლ. კრასინი მთელ თავის ენერგიას ახმარდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის განმტკიცების საქმეს. 1918 წლის აგვისტოს ვ. ი. ლენინის წინადადებით იგი არჩეულ იქნა რსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში და დაინიშნა წითელი არმიის მომარაგების საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ. ამავე წლის ბოლოს დაინიშნა ვაჭრობისა და მრეწველობის სახალხო კომისრად და რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს წევრად, ხოლო 1919 წლის მარტში აგრეთვე ტრანსპორტის სახალხო კომისრად და რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრად.

ლ. კრასინი საყოველთაოდ ცნობილია, როგორც ერთ-ერთი პირველი საბჭოთა დიპლომატი. გ. ვ. ჩიჩერინთან, მ. მ. ლიტვინოვთან და სხვა დიპლომატებთან ერთად მან დიდი როლი შეასრულა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ იმპერიალისტური ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიური ბლოკადის გარღვევის საქმეში.

1920 წლის მარტში ლ. კრასინი დაინიშნა იმ საბჭოთა დელეგაციის მეთაურად, რომელსაც დავალებული ჰქონდა სავაჭრო ხელშეკრულების დადება ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებთან. 15 მაისს ხელმოწერილ იქნა სავაჭრო ხელშეკრულება შვეციის მთელ რიგ მსხვილ ფირმებთან.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო ხელშეკრულებას ინგლისთან, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1921 წლის 16 მარტს. ამ ხელშეკრულების დადებით ერთ-ერთმა უდიდესმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ ფაქტიურად აღიარა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობა. ეს იყო ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკის პირველი დიდი გამარჯვება.

1922 წელს ლ. კრასინი აქტიურად მონაწილეობდა გენუისა და ჰააგის საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციებში, თანმიმდევრულად იცავდა საბჭოთა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს, ულმობლად ამხილებდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მტაცებლურ საგარეო პოლიტიკას.

1923 წლის ბოლოს ლ. კრასინი კვლავ სათავეში უდგება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მუშაობას.

ამ პერიოდში ლ. კრასინი აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობაში. 1924 წლის მაისში რკპ (ბ) XIII ყრილობაზე იგი არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში.

მალე პარტია და საბჭოთა მთავრობა ლ. კრასინს კვლავ დიპლომატიურ სამუშაოზე გზავნიან. 1924 წლის შემოდგომაზე იგი ინიშნება საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან ელჩად პარიზში, ხოლო ორი წლის შემდეგ — ლონდონში. მაგრამ ამ დროისათვის ლ. კრასინი უკვე მძიმე ავადმყოფი იყო. იგი გარდაიცვალა 1926 წლის 24 ნოემბერს ლონდონში სისხლის გათეთრებით.

„ილიჩის არმიის მარშალი" უწოდა ა. ვ. ლუნაჩარსკიმ ლ. კრასინს, ხოლო ა. მ. გორკი მას „ლეგენდარულ ადამიანად" თვლიდა. ეს მაღალი შეფასება ლ. კრასინმა დაიმსახურა კომუნიზმისადმი უანგარო სამსახურით და უსაზღვრო ერთგულებით, საბჭოთა ხალხის ბედნიერი მომავლისათვის თავდადებული ბრძოლით.

ფ. ლომაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



რა კარგია ამ ცხელ დღეებში „თბილისის ზღვის" სანაპიროზე დასვენება, მის ანკარა წყალში ბანაობა, ზღვის სარკესავით ზედაპირზე სწრაფი გლისერით გასეირნება, სუფთა ჰაერით სუნთქვა, მინდვრის ყვავილების მოკრეფა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

• „კომუნისტის" პუბლიკაცია •

# წარსულის ერთი ფურცელი

## ნიკო ნიკოლაძის სურათი სამახსოვრო ავტოგრაფით

საბჭოთა კავშირის ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის ა. ნ. მასლოვის პირად ფონდში აღმოჩნდა გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ღია ბარათი-პორტრეტი სამახსოვრო ავტოგრაფით.

როგორც ცნობილია, ნიკო ნიკოლაძეს ფართო საზოგადოებრივ-საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა რუსეთის მოწინავე წარმომადგენლებთან.

ღია ბარათი, რომლის ერთ მხარეზე გამოსახულია ნ. ნიკოლაძის პორტრეტი, მიმართულია ბეჟეცკის ფსევდონიმით ცნობილი რუსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ალექსი ნიკოლოზის-ძე მასლოვისადმი.

„გისურვებთ გულწრფელად, პატივცემულო ალექსი ნიკოლოზის-ძევ, მომავალ წარმატებებს და ყოველგვარ სიკეთეს ცხოვრებაში", — ასე მეტყველებს სამახსოვრო პორტრეტზე ნ. ნიკოლაძის ავტოგრაფული წარწერა რუსულად. ღია ბარათი მას პეტერბურგში ა. მასლოვისათვის 1908 წლის 9 აპრილს გაუგზავნია.

ეს დოკუმენტი რუსეთ-საქართველოს საზოგადო მოღვაწეთა მეგობრული ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოხატულებას წარმოადგენს.

გ. გოზალიშვილი.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეცნიერი თანამშრომელი.



# ასე ჩაისახა მეგობრობა

ქუთაისი. (საკ. კორ.). როგორც „კომუნისტის" მკითხველებმა იციან, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავის წინადღეებში ანაპის წითელდროშოვანი 414-ე ქართული დივიზიის ნაკვალევზე გაემგზავრა ქუთაისის მშრომელთა დელეგაცია.

დელეგაციამ იმოგზაურა აგრეთვე ქ. ქერჩში, რომლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ასობით ქუთაისელი მონაწილეობდა. მაშინ ქუთაისის მშრომელთა წარმომადგენლებმა წამოაყენეს წინადადება მტკიცე საფუძველი ჩაყროდა ორი ქალაქის — ქერჩისა და ქუთაისის — მეგობრობას.

ქერჩელები ერთსულოვნად დათანხმდნენ ამ წინადადებაზე. ამ დღეებში მოვიდა საპასუხო წერილი პარტიის ქერჩის საქალაქო კომიტეტის მდივნის ა. ემინისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ვ. დუბოვის ხელმოწერით.

მეგობრები იტყობინებიან, რომ მოკლე ხანში ქუთაისში ჩამოვა ქერჩის მშრომელთა დელეგაცია, რომელიც გააფორმებს ამ ორი ქალაქის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას.

◆

## „საქმროების არჩევანში"

ვანი. (საკ. კორ.). კულტურის სახლთან არსებულმა თეატრალურმა კოლექტივმა ამ დღეებში მაყურებელს გააცნო ო. რაზმაძისა და ნ. მასხარაშვილის პიესა „საქმროების არჩევანში". დადგმა განახორციელა ლ. გერსამიამ.

◆

## ოქრო გამოქვაბულში

ბლაგოვეშჩენსკი, 13 ივლისი. („სელსკაია ჟიზნის" კორ.). ტაიგის სოფელ სტოლცის მახლობლად მდებარე გამოქვაბული მუდამ იზიდავდა სკოლის მოსწავლეებს. მასწავლებლებისა და მშობლებისაგან გაგონილი ჰქონდათ, რომ სამოქალაქო ომის წლებში აქ გაუვლიათ ამურის პარტიზანებს. იქნებ მათ აქ რამე დატოვეს? ამჯერად, საგანგებოდ წავიდნენ ვიტია მატაფონოვი, ძმები ვალოდია და ვიტია მელნიკოვები.

გაჩაღდა მუშაობა, და აი წვერწამახული რკინის მაგარ საგანს შეეხო. გათხარეს ეს ადგილი და ამოიღეს ბოთლი, იგი ძალიან მძიმე აღმოჩნდა და ცეცხლისფერ-ყვითლად ბრწყინავდა.

იქნებ ოქროა?

ეს მართლაც ოქრო იყო. ოთხ კილოგრამამდე! მოსწავლეებმა იგი სოლოვიოვის ოქროს სარეწს ჩააბარეს.

• შეხვედრები და შთაბეჭდილებები •

# პელე მეგობრულად ესალმება ქართველ სპორტსმენებს

ამ შეხვედრის შთაბეჭდილებაზე, მართალია, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, ვინაიდან იგი ფეხბურთის ჩვეულებრივი მოყვარულისათვის უინტერესო არ იქნება.

...მოხდა ისე, რომ მოსკოვში, სასტუმრო „ლენინგრადსკაიაში" ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების გასაცილებლად მოსულ რადიოკომენტატორ ნ. ოზეროვთან ერთად მეც აღმოვჩნდი.

სასტუმროს ფოიეში იმ დღეებისათვის უჩვეულო სიმშვიდე დაგვხვდა. ეტყობოდა, გულშემატკივართა ვნებები სავსებით დამცხრალიყო. პელეს ერთ-ერთ ინტერვიუში ხაზგასმით აქვს აღნიშნული, ფეხბურთის შემდეგ ძილი მიყვარსო, მაგრამ დილის 8 საათზე პირველი ბრაზილიელი, სასტუმროში რომ შეგვხვდა, სწორედ პელე იყო. ფეხბურთელი, რომელმაც, საბჭოთა კავშირის მწვრთნელის მოროზოვის თქმისა არ იყოს, გუშინ „ცეცხლი და ქარიშხალი შემოიტანა მოედანზე".

სტადიონზე გარეთ წყნარი და მშვიდი პელე ყველაზე ადრე ამდგარიყო და მარტო სეირნობდა ფოიეში.

იდეალური შემთხვევა იყო ინტერვიუს ასაღებად, რაც წინადღით თითქმის შეუძლებელ რამეს და წამებას წარმოადგენდა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით).

— არ დამეძინა, — ილიმება პელე, — ფეხებზე უფრო ხელი დამეღალა ავტოგრაფების მიცემით. თითებსაც კი ველარ ვამოძრავებ.

— თქვენ გულწრფელად უყვარხართ საბჭოთა მაყურებელს და ეს სავსებით ანაზღაურებს თქვენს შეწუხებას, — უთარგმნის პელეს ჩემს სიტყვებს თარჯიმანი.

— მე პირველი დღიდანვე ვგრძნობდი ამას. ვამაყობ, რომ ჩემი გვარი ასე პოპულარულია თქვენს ქვეყანაში.

როდესაც შევეკითხე, თუ როგორ აღიქვამს იგი მის დასახასიათებლად გამოთქმულ სიტყვებს „შავი მარგალიტი", „ფეხბურთის მეფე", „ეპოქის მოვლენა", მან სთქვა:

— თავის დროზე პირველმა წარმატებამ სიხარულის ცრემლებით მატირა. ახლა კი ეს სახელი, ცოტა არ იყოს, მაწუხებს. დედა ყოველთვის მთხოვს, არავითარ შემთხვევაში არ გამაკვირვოს სახელმა და ვიყო ისეთი, როგორსაც ჩემი ახლობლები მიცნობენ. თქვენ კარგი შეკითხვა მომეცით. მე ამაზე ბევრჯერ მიფიქრია.

საბჭოთა გუნდისა და მისი ფეხბურთელების შესახებ ტრადიციულ კითხვაზე პელემ განაცხადა:

— „დასაწყისშივე იგრძნობოდა თქვენი ფეხბურთელების ნერვიულობა ეს კი მოწინააღმდეგისათვის დიდი შეღავათია. ჩვენს გუნდს ჰყავს შესანიშნავი ექიმი ფსიქიატრი ქესლინგი, ჩვენთვის ახლობელი და საყვარელი კაცი, რომელიც ფეოლასთან ერთად ჩვენი სული და გულია. მან ბევრჯერ გვიხსნა იმ მდგომარეობიდან, რომელსაც ნერვების სისუსტე და დაბნეულობა ჰქვია. მოხდენილი ხუმრობა, საყვარელი სიმღერის ფირფიტა, ცნობილი კომიკების მიბაძვა — აი მისი კარგი წამალი, რომელიც თამაშს გვაგებინებდა.

საბჭოთა გუნდიდან მომეწონა გარემარბები მესხი, მეტრეველი თავიანთი მაღალტექნიკური, დახვეწილი თამაშით. უფრო მეტად კი ნახევარმცველი სიჩინავა, რომელსაც, ბრაზილიური ფორმა რომ ჩააცვა, გარეგნობითაც და თამაშითაც ძნელად გამოარჩევ ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელებში. იგი უფრო შემტევი ხასიათის ფეხბურთელია, ვიდრე დამცველი. თქვენს ფეხბურთზე, მართალი გითხრათ ადრე არც მსმენია. ახლა კი თქვენი ბიჭების შემხედვარე დარწმუნებული ვარ, თუ როგორ გამოიყურება იგი".

და აი ჩემს ბლოკნოტში გაჩნდა ფეხბურთის გულშემატკივრისათვის პელის ავტოგრაფი:

*Para o desportisto que o abraço do Pele a Georgia.*

„პელე მეგობრულად ესალმება ქართველ სპორტსმენებს".

ფეხბურთის დიდოსტატის ეს სიტყვები უდავოდ სასიამოვნოდ მოვიჩნიეთ ფეხბურთის ყველა გულშემატკივრისათვის და გადავწყვიტეთ „კომუნისტში" გამოგვექვეყნებინა.

გ. ჟუღენია.

მოსკოვი.

# დღეს სტადიონებზე

## ჩემპიონი თუ სსრკ თასის მფლობელი?

**15 ივლისი** დიდი ფეხბურთის დღეა. „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდები გამართავენ საკავშირო ჩემპიონატის მეცამეტე ტურის რვა მატჩს.

რვავე შეხვედრაში მოსალოდნელია შეუპოვარი ბრძოლა და სატურნირო ცხრილშიც ბევრი რამ შეიცვლება. ამ ტურის თავისებურება პირველ რიგში ის არის რომ ერთმანეთს ხვდებიან თითქმის თანაბარი ძალის გუნდები.

ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას მაინც წარმოადგენს მატჩი კიევში, სადაც ჩემპიონს — თბილისის „დინამოს" პირველი წრის მოახლოებულ ფინიშთან პაექრობა ექნება სსრ კავშირის თასის მფლობელთან—კიევის „დინამოსთან". ამ ორი სახელმოხვეჭილი კოლექტივის ბრძოლის ტრადიციებზე აქ არ ვილაპარაკებთ, რადგან იგი კარგად არის ცნობილი ფეხბურთის მოყვარულთათვის, მაგრამ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ მათი ურთიერთ შეხვედრების შედეგები, მეტოქეთა ბალანსი.

გასული ჩემპიონატის პირველ წრეში საკუთარ მოედანზე წარმატება თბილისელებს ხვდათ 2:1, კიევში მეორე წრის მატჩი კი დამთავრდა ფრედ — 1:1.

დღემდე თბილისისა და კიევის დინამოელები 45-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან თბილისელებმა მოიგეს 18 მატჩი, 17 ფრედ დამთავრეს და 10 წააგეს ბურთების საერთო შეფარდებით 85:60. თუ რით დამთავრდება 46-ე შეხვედრა, ამის წინასწარ განსაზღვრა ძნელია, რადგან ერთმანეთს ხვდებიან თანაბარი ძალის კოლექტივები, ამასთანავე მათი სატურნირო მდგომარეობაც თითქმის თანაბარია.

**ამ შეხვედრის ორივე ტაიმს უჩვენებენ ტელევიზიით 19 საათიდან და 55 წუთიდან თბილისის დროით. მეორე ტაიმის რადიო რეპორტაჟის მოსმენა კიევიდან შეიძლება 21 საათიდან.**

არანაკლებ საინტერესოა მატჩი მოსკოვში ლიდერის — დედაქალაქის „ტორპედოსა" და ლენინგრადის „ზენიტის" გუნდებს შორის. დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი საკუთარ მოედანზე შეხვდება მოსკოვის „სპარტაკს", ბაქოს „ნეფტიანიკი" — ოდესის სკა-ს, ტაშკენტის „პახტაკორი" — მოსკოვის „დინამოს", ოდესის „ჩერნომორეცი" — მინსკის „დინამოს", კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი" — დონეცკის „შახტიორს".

ქუთაისის ტორპედოელებს საკუთარ მოედანზე თამაში ექნებათ მოსკოვის „ლოკომოტივთან". **ამ მატჩის რეპორტაჟის მოსმენა ფეხბურთის მოყვარულებს შეუძლიათ 20 საათიდან და 15 წუთიდან თბილისის დროით.**

# კინომხატვართა ნამუშევრების გამოფენა

**თბილისის** კინოსტუდია „ქართული ფილმის" მუზეუმში პირველად მოეწყო კინომხატვრების ნამუშევრების გამოფენა. აქ გამოფენილია როგორც ფილმისათვის შესრულებული ესკიზები, ისე სხვა ნამუშევრები, სულ გამოფენაზე ექსპონირებულია 30-მდე მხატვრის 200-ზე მეტი ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნაწარმოები.

ყურადღებას იპყრობს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების ს. ვაწაძის გრაფიკული ჩანახატები, ნ. ყაზბეგის ესკიზები ფილმისათვის „ჯარისკაცის მამა", ვ. ქიქოძის ნამუშევრების სერია „საქართველოს ხუროთმოძღვრული ძეგლები", საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ნ. შალიკაშვილის სოფლის მოტივებზე შესრულებული ჩანახატები.

გამოფენაზე მრავალი ახალგაზრდა მხატვარი მონაწილეობს. აღსანიშნავია ნ. ოქროპირიძის ორიგინალური პეიზაჟები საბავშვო ფილმისათვის „დამკვირდი", რ. სარიშვილის ლინოგრავიურა „ვ. მაიაკოვსკი", მისივე ქართული მოზაიკური სტილით შესრულებული „გოგონას პორტრეტი", ჰ. გიგაურის გრაფიკული ჩანახატები, ქ. ლებანიძის ესკიზები ფილმისათვის „მიქელა", შ. გოგოლაშვილის ხევსურული ჩანახატები ფილმისათვის „ხევსურული ბალადა" და სხვ.

◆

## „მოსკვიჩი" — ბედნიერი ბილეთით

**ზესტაფონი.** (საკ. კორ.). საგზავრო ავტოტრანსპორტის კანტორის მძღოლმა ს. ქათამაძემ ზესტაფონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა ფულისა და ნივთების ლატარიის მეექვსე გათამაშების 13.647 სერიის № 210 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი".

## ა. ზ. ხეროლდინაშვილი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი



**საქართველოს** სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო მეთოდური განყოფილების ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა **ალექსანდრე ზურაბის-ძე ხეროლდინაშვილმა** სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ჰიგიენის, მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის განყოფილების სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „**ბუნებრივი აბრეშუმის მრეწველობის მუშათა შრომა და ჯანმრთელობა**".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. ხეროლდინაშვილისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიკუთვნება.

## გამარჯვება უზრუნველყოფილია

**ვრნიაჩკა-ბანიაში** სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩის დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა, მაგრამ გამარჯვებული უკვე ცნობილია. ამ მატჩში საბჭოთა კავშირის გუნდს პირველი ადგილი უკვე უზრუნველყოფილი აქვს.

ეს გამოირკვა მას შემდეგ, რაც დამთავრდა მეოთხე და მეხუთე ტურის გადადებული პარტიები. ორივე შეხვედრაში წარმატება საბჭოთა მოჭადრაკეებს ხვდათ თანაბარი ანგარიშით 6,5:3,5.

საერთო ანგარიშია 32,5:17,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. გუშინ ღამით გაიმართა უკანასკნელი ტური.

## კვლავ გამარჯვება

**თბილისის** რეგბისტთა გუნდს მორიგი მატჩი ჰქონდა მოსკოვის სავეტერინარო აკადემიის ნაკრებთან და კვლავ გაიმარჯვა ანგარიშით 14:7.

◆

## მატჩი სვერდლოვსკში

**გუშინ** სვერდლოვსკის „ურალმაშს" საკუთარ მოედანზე საერთაშორისო შეხვედრა ჰქონდა ქ. ლოძის (პოლონეთი) ლკს-ს გუნდთან და გაიმარჯვა 2:1.

„კომუნისტი" — სპორტი

## სპორტული ქრონიკა

△ **პრაღაში** გრძელდება ევროპის ახალგაზრდა მაგიდის ჩოგბურთელთა მერვე ასპარეზობა, ანუ „იმედის ტურნირი". როგორც ვიუწყებოდით, ჩვენი ჭაბუკთა და გოგონათა გუნდები ნახევარფინალში გავიდნენ. ჭაბუკებმა ნახევარფინალში და ფინალში მოუგეს იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს 5:3, 5:0 და პირველი ადგილი დაიკავეს. გოგონათა გუნდებს შორის წარმატება ხვდა შვეციის გუნდს. საბჭოთა მაგიდის ჩოგბურთელებმა მესამე ადგილი დაიკავეს.

△ **კიევში** უკრაინის პროფკავშირული სპარტაკიადის მძლეოსანთა ასპარეზობაზე წარმატებით გამოვიდა შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილე ოლიმპიური ჩემპიონი **ირინა პრესი.** მან 80 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა დრო 10,5 წამი და გაიმეორა სსრ კავშირის რეკორდი.

△ **ურალის** პროფკავშირულ სპარტაკიადაზე უფელმა ძალოსანმა, **ვიაჩესლავ კოზლოვმა** (ქვესაშუალო წონა) აჭიმა 149 კილოგრამი და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. წინანდელი რეკორდი მასვე ეკუთვნოდა და ნახევარი კილოგრამით ნაკლები, იყო ახალ რეკორდზე.

## გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

**ნება** მიბოძეთ თქვენი გაზეთის მეშვეობით უღრმესი მადლობა გადავუხადო ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და პირებს, რომლებმაც მომილოცეს დაბადების 70 წელი და მთავრობის მაღალი ჯილდო.

ა. ასათიანი.

• ბრძანებულება მოქმედებაში •

# საჭეს მთვრალი თუ უზის: ავარია გარდუვალია!

**წერეთლის** პროსპექტზე ისე სწრაფად ჩაიქროლა „ვოლგამ", რომ ფეხით მოსიარულეებმა მისი ნომერი კი არა, მანქანის ფერიც ვერ გაარჩიეს. რამდენიმე წამის შემდეგ მანქანა ბოძს დაეჯახა. მამის კუთვნილ „ვოლგას" გრხ 19-49 სამშენებლო მასალების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მთვრალი თანამშრომელი თ. გოგავა მართავდა. დაშავებული მძღოლი საავადმყოფოში მოათავსეს.

მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად შეუფერებელია სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლისათვის ასეთი საქციელი, ზედმეტია. ამაზე უნდა იმსჯელონ თვით ამ დაწესებულების მესვეურებმა.

მთვრალ კაცს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. და, აბა, ქუჩის შუაგულში გავლებულ თეთრ ხაზს რადღა ჩასთვლიდა კონსტანტინე ადუაშვილი, ღვინით გალეშილი ვერ ითმენდა წინ მიმავალ მანქანებს და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ავტომარულა გამართა.

— აბა, ჰე! — შეუძახა კ. ადუაშვილმა და „მოსკვიჩი" გრხ 95-63 გააქროლა... გადავიდა მოძრაობის საპირისპირო მხარეს და ისეთი სიჩქარე განავითარა, მაყურის მილიდან ნაპერწკლები ცვიოდა, მაგრამ ელექტროშემდუღებელი ხელსაწყოების ქარხნის უფროს ელექტრომექანიკოსს ნაპერწკლები გაუკვირდებოდა?

ვინ იცის რით დამთავრდებოდა კ. ადუაშვილის ეს თავაწყვეტილი სრბოლა, რომ ავტოინსპექტორის სასტვენის ხმას არ შეეწყვიტა იგი. დააკავეს კ. ადუაშვილი და სახელმწიფო ავტოინსპექციის სადისკვალიფიკაციო კომისიაში წარადგინეს. იქ ადუაშვილისათვის უკვე მიეწეროთ სხვა მთვრალებს — ზუგდიდის სატრანსპორტო კანტორის მძღოლს ი. ჯგუფიას, რომელიც მართავდა რ. შეროზიას კუთვნილ ავტომანქანა „მოსკვიჩს" გფ 32-46, თბილისის საბავშვო საავადმყოფოს ექიმს გ. კახიძეს საკუთარი „ვოლგით" 34-03 მოტ. რუსთავის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ზეინკალს გ. აირაპეტიანს „ვოლგა" 68-26 გრფ. ქ. მახარაძის კომუნალური განყოფილების მძღოლს შ. კილურაძეს „მ-20" 08-01 გრფ. გ. ბიგოვის სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკიდან „ვოლგა" 67-28 გრფ. წყალტუბოს ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლს გ. ჯენჟეხაძეს „გაზ-12" 27-79 გრხ.

მათ ორ-ორი წლით ჩამოართვეს ავტომანქანის მართვის უფლება, თუმცა [illegible] ერთი წლით, თუმცა იგი ამ „ჯილდოსაც" უარყოფდა იმ მოტივით, რომ მას ეს არ დაუმსახურებია, მას ხომ ავარია არ მოუხდენია და არც ადამიანს დასჯახებია.

ავტომობილი, რომელიც ადამიანის კეთილდღეობას, სიამოვნებას ემსახურება, არ უნდა გადაიქცეს მოქალაქეთა უბედურების მიზეზად. ჩვენს რესპუბლიკაში უბედურ შემთხვევათა ფაქტები მძღოლების უდისციპლინობის გამო, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია. ყველა მძღოლმა, მოხალისე იქნება ის თუ პროფესიონალი, მტკიცედ უნდა შეიგნოს, რომ ალკოჰოლიანი სასმელის დალევა და მანქანის მართვა ყოვლად შეუძლებელია. როდესაც მთვრალი მძღოლი მანქანას მართავს, აუცილებლად ავარია მოხდება.

ზოგიერთ მძღოლს სიმთვრალეში მანქანის მართვა ვაჟკაცობად მიაჩნია და ნაცნობებში ტრაბახობს, მთვრალი უკეთესად ვმართავ მანქანასო. მაგრამ ასეთმა მძღოლმა, რომელიც ერთხელ შემთხვევით გადარჩა ავარიას, არ იცის, რომ მსგავსი „ვაჟკაცობა" და ტრაბახი მხოლოდ საკუთარი თავის მოტყუება და უნებისყოფო მძღოლების დანაშაულებრიობისაკენ წაქეზებაა.

უდისციპლინო მძღოლების კატეგორიას ეკუთვნოდა თვითსაცლელი ავტომანქანის 55-49-ის გრე მძღოლი გ. სულიაური, რომელსაც მთვრალს სოფელ გლდანიდან სადკურ ავჭალისაკენ გადაჭარბებული სიჩქარით მიჰყავდა სატვირთო ავტომანქანა. მან ვერ დაიმორჩილა მანქანის საჭე და წყაროსთან შეგროვილი ხალხის ჯგუფში შეიჭრა...

მძღოლ გ. სულიაურის უდისციპლინობამ ოთხი წლის ბიჭუნა იმსხვერპლა, ხოლო მ. ხ-ძეს და მ. ჩ-ლს სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა. მიხვდა თუ არა, რომ მძიმე დანაშაული ჩაიდინა, გ. სულიაურმა სცადა შემთხვევის ადგილიდან გაქცევით აერიდებინა თავი პასუხისმგებლობისათვის, მაგრამ [illegible]

[illegible] ტრანსპორტო საშუალებათა მძღოლები ზუსტად დაიცავენ მოძრაობის წესებს, საფრთხე თავიდან იქნება აცილებული. მოძრაობის წესების ზუსტად დაცვა ერთ-ერთი მთავარი და ჯველაზე ეფექტური საშუალებაა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღმოსაფხვრელად. ამის მისაღწევად დიდი როლი ეკისრებათ ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებს და ჩვენი რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობას.

მოძრაობის მაღალი კულტურა, მძღოლების ნამდვილი კოლეგიალობა, დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება, მხოლოდ ტექნიკურად გამართული ტრანსპორტით სარგებლობა აგვარიდებს საფრთხეს ქუჩებში და გზებზე მოძრაობისას. მაგრამ ზოგიერთ მძღოლს, ავტომეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკს, ცვლის მორიგე მექანიკოსს ეს მარტივი ჭეშმარიტება ვერ შეუგნია, არ გაუმახვილებია ყურადღება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულებაზე „არაფხიზელ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისა და მოძრაობის უსაფრთხოების და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების სხვა დარღვევისათვის ავტომოტოტრანსპორტის და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ".

სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა ბრძანებულების გამოსვლის დღიდან რესპუბლიკის მასშტაბით ფართო პროფილაქტიკური მუშაობა გასწიეს, გამოავლინეს საჭესთან ღვინის სმის, „ხალტურის" და ავტოთარეშის მოყვარული მძღოლები. საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამ ბრძანებულების თანახმად სხვადასხვა დარღვევისათვის რესპუბლიკაში 90 ულის მფლობელს ჩამოერთვა ავტომანქანა და მოტოციკლი, რომლებიც უკვე რეალიზებულია.

სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა მრავალი ღონისძიება განახორციელეს, მაგრამ ზოგიერთი უდისციპლინო მძღოლი კვლავ თვითნებობს და მთვრალი მართავს მანქანას. [illegible] ში ლენინის ქუჩაზე ისარივით ჩაიქროლა „ვოლგამ". წამიც, და... მანქანის საყვირის ხმამ და ადამიანის ყვირილმა მიდამო გააყრუა. შემთხვევის ადგილზე ხალხი შეგროვდა. ქვაფენილზე წაქცეული იყო შუახნის მამაკაცი გ. ზ., რომელმაც იქვე დალია სული.

დამნაშავე მძღოლი მიიმალა, მაგრამ ყველამ იცნო გურამ თოდუას საკუთარი „ვოლგა" პრ 93-44.

გ. თოდუამ მილიციის მუშაკებს „განუმარტა", მე არაფერ შუაში ვარ, ჯ. ჩხეტია მართავდა მანქანას და მოქალაქის მკვლელობაში მას მიუძღვის ბრალიო. თუნდაც ასე იყოს. განა ეს ამცირებს გ. თოდუას პასუხისმგებლობას? კანონში გარკვევით არის ნათქვამი, რომ ის პირი, ვინც თავის კუთვნილ ავტოტრანსპორტს გამოსაყენებლად გადასცემს პირს, რომელსაც არა აქვს ამ ტრანსპორტის მართვის უფლება, პასუხს აგებს. თოდუამ კი თავისი ავტომანქანა მართვის უფლების არამქონე და ამასთანავე მთვრალ ჯ. ჩხეტიას გადასცა. ამ ორი პიროვნების თვითნებობას, ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევას მოქალაქე ემსხვერპლა.

ლოთობა ოჯახების მწუხარებისა და უბედურების მიზეზი არ უნდა გახდეს. როცა ვიცით, რომ ჩვენი მეგობარი თუ ნაცნობი მანქანას მართავს, მას არ უნდა მივცეთ ღვინის სმის ნება. თუ არ დაიშლის, მაშინ ის საჭეს არ უნდა მივაკაროთ. ქუჩებში და გზებზე მოძრაობის დროს თუ ავტომანქანა მიდის გადამეტებული სისწრაფით, არღვევს სხვა წესებსაც, მაშინვე უნდა დავიწეროთ ავტომანქანის ნომერი და ვაცნობოთ ავტოინსპექციას. ეს საშუალებას მოგვცემს აღვრიცხოთ და დავსაჯოთ ის მძღოლები და ავტომოყვარულები, რომლებიც არღვევენ საერთო წესს და მთვრალი მართავენ მანქანას. თუ საზოგადოებრიობა აქტიურად დაგვეხმარება ამ საქმეში, მაშინ ჩვენ შევძლებთ აღმოვფხვრათ მძღოლების მიერ არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვის შემთხვევები, ხოლო იმ მძღოლის მიმართ, რომელიც ვერ მიხვდება იმას, რომ არ შეიძლება ასეთ მდგომარეობაში მანქანის მართვა და არღვევს მოძრაობის უსაფრთხოების წესებს, მკაცრი ზომები იქნება მიღებული.

გ. ხაზარაძე,

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის [illegible]

# ჩა ვნახოთ, ჩა მოვისმინოთ

## თეატრები

**15 ივლისი**

**რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — სიბრძნე სიცრუისა (25-ე და გაცდენილი აბონემენტები).

## ტელევიზია

**15 ივლისი**

10.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა (რეპორტაჟი მინსკიდან), 18.00 — მოსწავლეთათვის — „ციცინათელა" (გადმოცემა პერმიდან), 18.30 — განცხადებები, 18.35 — გადაცემა „დღეები და ადამიანები", 18.55 — კინონარკვევი, 19.05 — სატელევიზიო ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება", 19.55 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო" კიევი — „დინამო" თბილისი (გადმოცემა კიევიდან), 21.45 — კინონარკვევი, 22.05 — ახალი ამბები, 22.25 — გადაცემათა პროგრამა 16 ივლისისათვის, 22.30 — ახალი ამბების ესტაფეტა (გადმოცემა მოსკოვიდან).

## რ ა დ ი ო

**15 ივლისი**

**პირველი პროგრამით**

10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 10.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.10 — გადაცემა ციკლიდან „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი მოქმედებაში" — საუბარი — „სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის პრინციპების შესახებ", 13.10 — ს. მირიანაშვილის სიმღერები, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.10 — პოლონური საესტრადო მუსიკის კონცერტი, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.15 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი ქუთაისიდან, 20.30 — ს. ცინცაძის მე-5 კვარტეტი, 21.00 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი კიევიდან, 21.45 — საესტრადო კონცერტი, 23.30 — მსუბუქი მუსიკა.

რედაქტორი

დ. მჟავლიშვილი.

კომუნისტი

[illegible]

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66143

[illegible]

ჩვენი მისამართი და ტელეფონები